საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 25 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible] ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტი[illegible] მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ[illegible] და კანტორის ადრესი; რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 243 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 243

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ ჭალას მთავარ ანგელოზის ეკლესიაში კვირას 26 წიფობისთვეს, თერთმეტ საათზე გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი მამის და დედის

**გრიგოლ და იდითი მექვაბიშვილების**

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდათუთქულნი შვილები: ევა, მარო, მეტი და ვასო და სიძე არსენ ჰანჟყვაძე. 2765—1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნატალია იასონის ასული, შვილები: ბა[illegible]ბარე, მარიამი, ირაკლი, შალიკო და რუსუდანი, ცოლის ძმები: ნიკო, დათა, ვანო და დიმიტრი, დისწულები: გიორგი დავითაშვილი და მართა თათარაშვილის აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი წმ. ნინოს ეკლესიაში დილის 10 საათზე შაბათს, 25 ღვინობისთვეს მათი დაუვიწყარი

**დიმიტრი ზაქარიას ძე ჩარკვიანის**

სულის მოსახსენებლად. 2763—1—1

## ეკონომიური ვითარებისათვის

ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება, მთავრობის მიერ ერთგვარ კალაპოტში ჩაყენება, ერთგვარი რეგლამენტაცია, დღეს საყოველთაო მოვლენათ გადაიქცა.

თავისუფალი ვაჭრობის დოქტრინა, რომელსაც დიდ ხანს ეკონომიური მოძღვრების უკანასკნელ სიტყვათ თვლიდენ ლიბერალური მეცნიერები, დღეს უკვე გაკოტრებულათ და უარყოფილათ უნდა ჩაითვალოს.

კარლ მარქსმა, თვით ამ დოქტრინის საყოველთაო ბატონობის ხანაშივე აღნიშნა მისი დროული და შედარებითი მნიშვნელობა, მაშინვე გაუ[illegible]ინჯა კბილი ამ ვითომდა ქვეყნის მხსნელ და უზრუნველმყოფელ დოქტრინას. ეს იყო დოქტრინა სასარგებლო ვაჭრობა-მრეწველობის მოღონიერებისათვის იმ დროს და მაშასადამე შესაფერი საწარმოვო ძალთა განვითარების თვალსაზრისით.

მაგრამ მალე კონკურენციის ბრჭყალებმა ერთიმეორეზე აალებინეს ხელი ევროპის ბურჟუაზიას და მის მთავრობებს ამ თავისუფლების ქადაგებაზე. ისინი პრო[illegible]ექციონისტებათ იქცენ თითქმის ყველანი. თვით თავისუფალ ვაჭრობის კლასიკური ქვეყანა—ინგლისიც ვერ ასცდა სავსებით ამ გზას, მიუხედავათ იმისა, რომ იგი, როგორც ბატონი მსოფლიო ბაზრის, მფარველობას ყველაზე ნაკლებ საჭიროებდა.

ომმა ამ მდგომარეობაში სრულიად ახალი პირობები შეიტანა. პროტექციონიზმი და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპები ორივე განზე გადადვა.

მართლაც, ერთიც და მეორეც შექმნილი იყო კონკურენციით ზედმეტათ დამზადებულ საქონლის გასაღების პირობებით, ერთი მეორის წინწასწრების და ახალ ბაზრების დაპყრობის და უკვე დაპყრობილის მონოპოლიურათ გადაქცევის სურვილით. დღეს კი ზედმეტ ნაწარმოებზე ლაპარაკიც აღარ შეიძლება. ზედმეტი არის დღეს მხოლოდ ერთი ნაწარმოები, გამოსადეგი მხოლოდ ხალხთა საჟლეტათ—საომარი იარაღები და მასალები, რომელთაც უხვათ აწვდიან ყველა კუთხეებს, რომელთაც კიდევ სურთ ბრძოლა, ომი და სისხლის ღვრის მორევის დაყენება. მაგრამ საზოგადოებისთვის საჭირო, მოსახმარი საგნები ყველგან ნაკლებათაა. სახელმწიფოები ყველანი ერთობლივ ამ დარგში დიდ ნაკლებობას განიცდიან.

სახელმწიფოები კარგათ გრძნობენ ამ სიდუხჭირეს, გრძნობენ, რომ დღეს კითხვა სდგება—არა იმდენათ ზედმეტი საქონლის გაზიდვაზე, არამედ არსებულით განაწილებაზე. ყველას აკლია და უნდათ, რომ ეს ნაკლებობა სხვას გადაჰდვან, თითონ კი შევსებული იყვნენ. ამ ნიადაგზე იბადება გაუმაძღარი სპეკულიაცია, საქონლის გაძვირება, ერთი ხელიდან მეორეში გადასვლა და დაუსრულებელი ტრიალი. ეს სპეკულიაცია კლავს ხალხის მეურნეობას, აფორიაქებს ისედაც დაცემულ მეურნეობას და ქმნის აუტანელ მდგომარეობას სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.

სახელმწიფო, რომელსაც ამის შემდეგ დიდი უკმაყოფილება აქვს გამოწვეული ხალხის მასაში, მიუხედავათ იმისა, გაიმარჯვა თუ დამარცხდა, ცდილობს დღეს მასსის გული როგორმე მისი ეკონომიური ცხოვრების ოდნავ გაუმჯობესებით მოიგოს. ამ რიგათ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი უკარნახებს მას ამ თავაშვებულ სპეკულიაციას საზღვარი დაუდვას და მრეწველობის შემოქმედებითი ძალა განსაზღვრულ მხარისაკენ მიმართოს. სახელდობრ მასსიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ. დღეს ხალხს აკლია საქონელი, და ამ დროს შექმნა ისეთი საგნების, რომელიც მხოლოდ ფუფუნების მოტრფიალე უმცირესობას ეინტერესება—დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. ახლა ნაკლებობაა საწარმოვო ძალების, და მათი გაფლანგვა მხოლოდ კერძო პირთა მოგების პრინციპის მიხედვით—უდიდესი უბედურების მომტანი შეიქნება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპა ვულკანზე სდგას დღეს და უკმაყოფილების ტალღას შეუძლია ერთის ძლიერის ამოხეთქით წალეკოს მსუნაგი ბატონები. ამას გრძნობენ ევროპაში და მაღალ წრეების ფუფუნებას ზღუდავენ ხალხის დასაკმაყოფილებლად.

და თუ ეს ასეა უცხოეთში, მით უმეტეს საჭიროა ეს ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის. საქართველო ისედაც ჩამორჩენილია. მას თვისი საქონელი მცირე მოეპოვება. ომის შედეგები და რუსეთიდან გამოყოფა სრულიად ახალ პრობლემებს აყენებს მის წინაშე. ვალიუტის უქონლობა ერთი-ორათ ართულებს ამ პრობლემათა გადაჭრის საქმეს.

ცხადია, ასეთ პირობებში თავისუფალი ვაჭრობა ჩვენთვის სიკვდილია. თავის ქვეყნებში შევიწროვებული სპეკულიანტები აქ იპოვნიან ფართე ასპარეზს და როგორც ქორი წიწილას, ისე დაერევიან ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს გასანიავებლათ. ნიშნები ამისა უკვე სჩანს დღესაც. ჩვენი ერთად ერთი იმედი ნედლი მასალა აშკარათ, თუ ფარულათ ჩალის ფასათ მიაქვთ უცხოელ და შინაურ სპეკულიანტებს.

ამას უნდა ბოლო მოეღოს. სახელმწიფომ უნდა თავის კალაპოტი მიუჩინოს ამ უძირო ჯიბის გმირებს და საზოგადოებრივი ინტერესები მედგრათ დაიცვას. გამოცხადება მონოპოლიისა ზოგიერთ უმთავრეს საგნებზე, ამის ერთი უმთავრესი იარაღია. მაგრამ მარტო გამოცხადება არ კმარა, საჭიროა სწრაფათ შექმნა მიზანშეწონილი ორგანიზაციის, რომელიც ამ მონოპოლიას განახორციელებს და ქვეყნის სიმდიდრეს ქვეყნის სასარგებლოთ გამოიყენებს.

ამასთანავე, ჩვენის აზრით, გასატან საქონელზე მონოპოლიის გამოცხადებას უნდა დაერთოს შემოსატან საქონლის რეგლამენტაციაც, ჩვენ დღეს გვესაჭიროება—პური და მანუფაქტურა, აქ კი ბაზარს ავსებენ ფარჩეულობით და ზიზილ-პიპილებით—ფუფუნების საგნებით, უცხო „დუხებით“, და სხვ. ყოველივე ეს ქმნის პასიურ სავაჭრო ბალანსს, და აბრკოლებს მდაბიო ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საგნების შემოტანას.

ჩვენ გვგონია, ამიტომ უნდა ასეთ საგნების შემოტანა სრულიად აიკვეთოს, ხოლო პირველ საჭირო საგნების იმპორტის—შეღავათი მიეცეს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობის შემსუბუქება მასსისათვის, დემოკრატიისათვის, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკური ბატონ პატრონია, მისი შემქნელ დამცველია, ხოლო ეკონომიურათ უკიდურესათ მძიმე უღელს ატარებს. მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის რადიკალური და სასწრაფო ზომები აუცილებელია, დრო არ ითმენს. დაყოვნება—მომაკვდინებელი ცოდვაა. და ჩვენ ველით დემოკრატიის ხელმძღვანელთაგან მტკიცე, ენერგიულ მუშაობას ამ მხრივ.

## ცენტრი და განაპირა კუთხეები

საკითხი თუ რა გვარი განწყობილება უნდა არსებობდეს ცენტრსა და განაპირა კუთხეებს შორის—არა ერთხელ დასმულა გადასაწყვეტად.

პრინციპიალურად ეს საკითხი დავას არ იწვევს—დემოკრატიულ წრეებში მაინც. ერთა თვითგამორკვევის პრინციპი დღეს სავალდებულოდ არის აღიარებული ბურჟუაზიულ მოღვაწეებშიაც კი.

მაგრამ თვითგამორკვევის უფლება, როგორც ყოველგვარი სხვა უფლება არ გულისხმობს აუცილებლათ გამოყოფას, სეპარატიზმს. ყოველი მოქალაქე და მით უმეტესყოველი საზოგადოება მხოლოდ იმ შემთხვევაში ირჩევს დამოუკიდებლობას, თვითგამორკვევის უფლების ძალით, როცა ეს მისთვის ხელსაყრელია. ამის საუკეთესო მაგალითს თვით საქართველოს დემოკრატია იძლევა. ამ უკანასკნელმა არ ისურვა რუსეთიდან ჩამოშორება, რადგან რუსეთის დემოკრატიასთან კავშირით ფიქრობდა ის თავის ინტერესების საუკეთესოდ დაცვას. მაშასადამე ამ საკითხის გადაწყვეტაში საქართველოს დემოკრატია ხელმძღვანელობდა მიზანშეწონილობის თვალსაზრისით და არა განყენებული დებულებით და პრინციპით.

ამავე პრაქტიკულმა მოსაზრებამ გამოაცვლევინა საქართველოს დემოკრატიას მოქმედების ხაზი, როცა რუსეთი ბოლშევიკურმა სტიქიამ შთანთქა: რევოლიუციის მონაპოვართა გადასარჩენათ საჭირო შეიქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსება.

სამწუხაროდ, ასე არ იქცევა ზოგი ჩვენი განაპირა კუთხე, რომელიც გეოგრაფიულად მჭიდროთ ეკვრის რუსეთს ან ოსმალეთს. ამ განაპირა კუთხეებში არსებობენ ჯგუფები, რომელნიც თვით გამორკვევის პრინციპის დროშით გამოდიან და საქართველოსთან კავშირს გაურბიან. მათს ფრაზეოლოგიას რომ მივმართოთ ისინი ქვეყნის აშენებას ცდილობენ, მაგრამ საქმენი მათნი სულ სხვა რამეს ლაღადებენ. ერთის მხრით ისინი ასუსტებენ დემოკრატიულ მთავრობას, რითაც ხელს უწყობენ სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტების თარეშს. ამით სარგებლობენ აშკარა კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფები თავიანთ რუსოფილურ ან ტურკოფილურ პოლიტიკას აწარმოებენ.

ამავე დროს არც ერთი სოციალური რეფორმა ამ განაპირა კუთხეებში არ ტარდება: გარდა იმისა, რომ მოუწყობელი რჩება ერობა—ეს დემოკრატიის ორგანიზაცია, არ ტარდება ცხოვრებაში მიწის რეფორმა, რომელმაც ლიკვიდაცია უნდა მოახდინოს ბატონ-ყმურ ნაშთების და ხალხის დიდს ნაწილს—გლეხკაცობას არსებობა გაუადვილოს.

იმის ნაცვლად, რომ ამ დიდი რეფორმების ცხოვრებაში გატარებაზე იზრუნონ განაპირა კუთხეებში მომქმედი ზოგი ჯგუფები ცდილობენ ხალხის ყურადღება განყენებულ თეორიებისაკენ მიაპყრონ და ადგილობრივ დემოკრატიის გამოთიშვას საქართველოს დემოკრატიის საერთო ოჯახიდან ხელი შეუწყონ.

ჩვენი მოვალეობაა ფარდა ავხადოთ ასეთი ჯგუფების ბნელ მოღვაწეობას და განაპირა კუთხეების დემოკრატიას თვალი აუხილოთ.

ამისათვის საუკეთესო საშუალებათ ჩვენ მიგვაჩნია ზემოდ აღნიშნულ რეფორმების ცხოვრებაში გატარება. ჩვენი ასეთი მოქმედება აშკარად დაანახვებს განაპირა კუთხეების დემოკრატიას, თუ ვინ არის მისი ნამდვილი მტერ-მოყვარე.

## მონარქისტ-ფედერალისტები

ფედერალისტებს ახალი შემთხვევა მიეცათ თავის „ოპოზიციონერობის“ გამოსაჩენათ. მხოლოდ ამ შემთხვევაში მათ მარჯვნიდან მოგვიარეს ვისაც თვალყური უდევნებია ამ პარტიის პოლიტიკისათვის, ის მაშინვე შეამჩნევდა, რომ ამ პოლიტიკაში არ ყოფილა არავითარი სწორე ხაზი, რომ ეს პოლიტიკა მუდამ მიხვეულ-მოხვეული იყო. როგორც გამოცდილი ფალავანი, ფედერალისტები ხან ერთი მხრიდან მოუვლიდენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ხან მეორიდან და მთელი მათი პოლიტიკა ყოველთვის აიხსნებოდა იმ ადგილით, რომელიც მათ სოც.-დემოკრატიის მიმართ ეჭირათ. ამ წმინდა „ობივატელურ“ პარტიას თავის დღეში არ ჰქონია თავისი გარკვეული პოლიტიკური ხაზი. გადაავლეთ თვალი ამ პარტიის ისტორიას და დარწმუნდებით, რომ მთელი მისი პოლიტიკა მარჯვნიდან მარცხნით გადახტომ გადმოხტომას წარმოადგენს. აშკარა მემარჯვენეობა რეაქციის დროს უკიდურესი მემარცხენეობა—როგორც კი რევოლიუცია დაიწყება და ეს გადახტომ-გადმოხტომა ისე ადვილათ, ასეთის სიმარდით ხდება, რომ კაცი სახტად რჩება, როგორ სჭამს ამას სერიოზული ხალხი, რომელსაც თავის თავის ცოტაოდენი მაინც პატივისცემა აქვს. ამ პარტიის პოლიტიკური „ევოლიუციები“ სწორეთ რომ ძლიერ საინტერესო სოციოლოგიურს და ფსიხოლოგიურს მასალას წარმოადგენს დაკვირვებულის პოლიტიკოსისათვის. როგორ ხდებოდა რომ პარტია, ისევე ის მოღვაწენი, რომლებიც დასაწყისიდანვე ქართველ თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის ინტერესების მებაირახტრეთ გამოვიდენ, 1904 წელში მოულოდნელად, ერთი ხელის დაკვრით თავს სოციალისტებათ აცხადებენ, 1905 წლიდან უკიდურეს ანარქიზმის მიმდევრები ხდებიან, 1907 წლიდან ისევ ჰქვიანდებიან, ისევ წმინდა ბურჟუაზიულ, რამდენიმეთ თავად-აზნაურულ და აშკარა კლერიკალურ ხაზს მისდევენ 1917 წლის რევოლიუციამდე და როგორც კი ეს რევოლიუცია იწყება, ისევ წითელ მანტიას ისხავენ, ხტუნვა-ხტუნვით მარცხნით იხევენ და ბოლოს ბოლშევიზმის მეზობლები ხდებიან?

ფედერალისტების პარტიის ისტორია ვიმეორებთ, ძალიან საინტერესო პოლიტიკური თემაა პუბლიცისტისათვის. უნდა გამოტეხილი ვთქვათ: მარჯვნიდან მოვლა მათ ბევრათ უფრო ეხერხებათ, ვიდრე მარცხნიდან. მარცხნიდან ბრძოლაში მათ ერთნაირი თავის-თავის ძალდატანება ემჩნევათ. კილოში, მიხვრა-მოხვრაში, საპოლემიკო ხერხებში—ყველაფერში ეტყობათ, რომ ფედერალისტებს მარცხნიდან ბრძოლის დროს შეუფერებელი ადგილი უჭირავთ და შეუფერებელი როლი უკისრიათ. სულ სხვაა, როდესაც მარჯვნიდან მოაქვთ იერიში: მათი კილო უფრო მტკიცე ხდება, მათი ხმა უფრო მჭახე, სტილი უფრო მაგარი; ყველაფერში ეტყობა, რომ ეს ხალხი შესაფერს როლშია, თავის ბუნებრივს საქმეს ასრულებს, მათს კილოში ისმის გულწრფელობის და რწმენის ხმა.

დღეს მათ ისევ მარჯვნიდან მოგვიარეს. საკითხი ასე იდგა: მისაღებია თუ არა სოციალისტებისათვის, ასე ვთქვათ, **მონარქისტული ნომენკლატურა?** მისაღებია თუ არა, რომ იმ სახელმწიფოში, რომლის სათავეშიც სოციალისტები დგანან, ქუჩებს, შკოლებს და სხვა დაწესებულებებს მეფეების სახელი ერქვათ?

კითხვა რომ რუს ხელმწიფეებზე ყოფილიყო, ფედერალისტებს მონარქისტობას ვერავინ შესწამებდა. მაგრამ როგორც კი კითხვა ქართველ მეფეებს შეეხო, ფედერალისტების პარტიაში ერთბაშად იფეთქა ძველებურმა, დაბადებიდანვე თანდაყოლილმა მამა პაპურმა ქვეშევრდომულმა გრძნობამ. მათი წარმომადგენლების ლოღიკით, ამ ორ კითხვის შორის არსებითი განსხვავებაა: ის რუსი ხელმწიფენი იყვნენ, ეს კი ქართველები, ჩვენი სისხლი და ხორცი; იქ მტარვალები, აქ კი—„მოღვაწენი“. ქართველ მეფეებს, კერძოთ ერეკლე მეფეს სულ სხვა საზომი შეჰფერის ვიდრე სხვა მეფეებს: „ერეკლე სულ სხვა იყო ბრძანა თავის ცხარე სიტყვაში ბ. ს. დადიანმა, ის მარტო მეფე არ იყო“. ამნაირათვე ასაბუთებს თავის უქვეშევრდომილეობას „სახ. საქმე“: „ერეკლე მეფე, რომელიც წინ უძღოდა საქართველოს კულტურულ ეკონომიურ რენესანსს და მთელი თავისი სიცოცხლე სამაგალითო ეროვნულ ბრძოლებში გაატარა და პირველმა საჭიროდ დაინახა გვირგვინზე ხელის აღება ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, რომელმაც შეგვიქმნა აკადემიები, ჩამოაგდო ძმობა ერებს შორის და გლახაკთა დავლატაკთა მფარველად ითვლებოდა, ამ ეს ისტორიული პიროვნება დღევანდელი მილიციის მეფეების მიერ ღირსება აყრილი სდგას ჩვენს თვალწინ. განა ეს არის ჩვენი დაფასება დიდ წინაპრებისა და ისტორიულ მოღვაწეების“.

ფედერალისტების ლოღიკით, მაშასადამე, კარგი მეფეების სახელის თაყვანისცემის გაძლიერება ხალხში დასაშვებია, ცუდ მეფეებისა კი არა. მაგრამ ვინც კი ნაციონალისტურ იდეალიზმით არ არის შეპყრობილი, ვინც ისტორიულ წარსულის დაფასებაში „ობივატელურ“ პიროვნების საკითხით არ არის დაბრმავებული, მან იცის, რომ „კარგი“ და „ცუდი“—ეს მცნება ისტორიულ წარსულს ძნელად მიუდგება და პრინციპიალურ მსჯელობაში ვერ გამოდგება. მეფეების პირად ფსიხოლოგიას, მათს პირადს ავ-კარგიანობას ხანგრძლივ ისტორიულ მანძილიდან ვერავინ ჩასწვდება; და ეს მოქალაქისათვის არც დიდათ საჭიროა. მთავარი მნიშვნელობა აქვს არა პიროვნებას, არამედ „საქმეებს“, იმ პოლიტიკას, რომელსაც მეფეები ეწეოდენ. და ამ მხრივ თუ შევხედეთ საქმეს, უნდა ვთქვათ, რომ თვით არსება საზოგადოთ მონარქიზმისა, და კერძოთ ქართულ მონარქიზმისა, დემოკრატიზმის უარყოფას წარმოადგენს და დემოკრატიისთვის სრულიად მიუღებელია; და მაშასადამე ხალხში გაღვივება ამ მონარქიზმისადმი თაყვანისცემისა და სიყვარულისა დემოკრატიზმის მხრით სრულიად დაუშვებელია.

კიდევ დავა შეიძლება იმის შესახებ, თუ ვინ იყო „კარგი“ და ვინ იყო „ცუდი“ მეფე. სად გავავლოთ მათ შუა ხაზი? ფედერალისტებმა, ვთქვათ ორი მეფე გაიხადეს სათაყვანებლათ: თამარი და ერეკლე. მაგრამ გადადგით ეს ნაბიჯი, გამოაცხადეთ ეს ორი სახელი თაყვანისცემის საგნათ, და დაინახავთ, რა ადვილათ წავა შემდეგ მონარქისტული ვაკხანალია: კედია-გვაზავები ამას დაუმატებენ დავით აღმაშენებელს, ბაგრატ მე III და მე-IV, დიმიტრი თავდადებულს; ვეშაპელ-გაბაშვილებიც კიდევ ახალ სახელების შეტანას მოითხოვენ წმინდა მეფეთა „სინოდიკ“-ში, და დაიწყება საერთო მონარქისტული „წმიდა წმიდა არს“.

მეორე დემაგოგიური მოსაზრება, რომლითაც ფედერალისტები ასაბუთებენ თავის ერთგულებას ზოგიერთ მეფეთა სახელისადმი იმაში მდგომარეობს, რომ ქართველ ხალხის თვალში ეს სახელი შარავანდედით არის მოცული და დიდის მოწიწებით და პატივისცემით იხსენიება. ხალხურ სიმღერებში იმისთანა მეფეები, როგორც თამარ-დედოფალი ან ერეკლეა, მადლობას და ქება დიდებას უძღვნიან. მაგრამ განა ყველაფერი ის ტრადიცია და რუდიმენტი რაც კი ხალხში მონობის დროიდან დარჩენილა, უნდა გავაღრმავოთ და გავაცხოველოთ? თუ პირიქით, ყოველი დემოკრატის ვალია ამ მონურ ტრადიციების სახსენებლის გაქრობას ცდილობდეს? ხალხში ხშირად ისეთი მეფეების სახელია ლეგენდის საგნათ გადაქცეული და შარავანდედით მოსილი, რომ, ამით რომ ვიხელმძღვანელოდ, ვინ იცის სადამდის მივიდოდით. რუს ხალხის გადმოცემაში, მაგალითად, არც ერთი მეფე არ არის ისეთის შარავანდედით მოსილი, როგორც იოანე მრისხანე. ჩვენი ფედერალისტები რომ რუსების პარტიაში იყვნენ და იმავ ლოღიკით მსჯელობდენ, როგორითაც ჩვენში მსჯელობენ, იოანე მრისხანის სახელი უნდა დაერქვათ სკოლებისათვის, ქუჩებისათვის და დაწესებულებებისათვის.

საკითხი იმის შესახებ, მოიხსნას სკოლიდან, თუ დარჩეს ერეკლე მეორის სახელი, სადავოა, მაგრამ პრინციპიალური არ არის. მონარქიზმის დროიდან დარჩენილი სახელწოდებანი ისე ბევრია ჩვენს ქალაქში და ჩვენს ქვეყანაში, რომ შეიძლებოდა მათი შეცვლა დაგვეწყო არა ერეკლე მეფიდან, არამედ უფრო ახლო პირებიდან, რომლის სახელებიც სწორედ თავის სიახლოვით ზიზღს და ქრუანტელს გვგვრის. მაგრამ ამ საკითხის შესახებ დავის ატეხა არც ღირდა. მთელს ამ საკითხის გარშემო ატეხილ დავაში ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ არგუმენტაცია, ისტორიულ წარსულის დაფასების მანერა, მთელი მსოფლმხედველობა, რომელიც ფედერალისტებმა სრულიად აშკარად საქვეყნოდ გამოფინეს კამათის დროს, არაფრით არ განსხვავდება ნაციონალ-დემოკრატების არგუმენტაციისაგან, წარსულის დაფასებისაგან და მსოფლმხედველობისაგან. წაიკითხეთ, მაგ., ნაციონალ-დემოკრატ შ. ამირაჯიბის წერილი და წაიკითხეთ „სახალხო საქმეში“ მოთავსებული მეთაური. წაიკითხეთ ბ-ნ გოთუას სიტყვა და წაიკითხეთ ბ-ნ ს. დადიანის სიტყვა. გაგაკვირვებთ არგუმენტაციის სრული იგივეობა. ერთი და იგივე ბუმბერაზ-ნაციონალისტური საზომი ქართველ და არა-ქართველ მეფეების დაფასებაში. ერთი და იგივე იდეალიზაცია საქართველოს წარსულისა. ერთი და იგივე „მუხლ მოდრეკა“ ქართველ მეფეების ღვაწლის წინაშე და უქვეშევრდომილესი გრძნობა მათდამი.

## პრესა

გაზეთი „აზერბეიჯანი“ ეხება ინგლისელ პოლკოვნიკის რაულონდსონის ცნობილ მიმართვას მთიელებისადმი და სრულიად სამართლიანათ აღნიშნავს:

„პოლკ. რაულონდსონის აქტი იწვევს მწარე გაოცების გრძნობას, როგოც აშკარა მიკედლების საბუთი, აშენებული ერთის დაცვაზე, წინააღმდეგ მეორის ინტერესებისა. ჩვენ ვეჭვობთ, რომ პოლკ. რაულონდსონი მთიელებისადმი თავის მიმართვაში მოქმედობდეს თავისი მთავრობის თანხმობით და რომ ის ქადილი ზარბაზნებით, ტყვიისმფრქვეველებითა და ხელმძღვანელებით, რომელიც მიმართულია ომით დატანჯულ ხალხის წინააღმდეგ, მოწონებულ იქნას ინგლისის საზოგადოებასა და ხელმძღვანელ პოლიტიკურ წრეებში. დემოკრატიულ ინგლისისათვის პოლიტიკურ აქტის საზომით ვერ იქნება ვერც ცალმხრივი ინფორმაცია, ვერც პირადი მიკედლება ამა თუ იმ პოლიტიკური აგენტისა. ჩვენ ველით თუ რას მოგვიტანს შორეულ ინგლისის გამოძახილი, ჩვენ ველით, რომ ინგლისის პოლიტიკის პასუხისმგებელი პირები დაეჩქარებიან ახსნან ეს სამწუხარო საბუთი, რომელიც ასე მოხერხებულათ დაშორებულა ასეთი დიდი პრობლემის სამართლიანათ გადაწყვეტისაგან. რაც შეეხება პოლკ. რაულონდსონის მწუხარებას, რომ ის იძულებულია მთელი იარაღი მთიელთა წინააღმდეგ მიმართოს, ჩვენ ჩვენის მხრივ მწუხარება უნდა გამოვსთქვათ იმის შესახებ, რომ ეს იარაღი დიდი ხანია აკეთებს თავის შავ საქმეს.“

* * *

ერეკლე მეფის სახელის მოხსნამ ქალაქის ერთ-ერთ სკოლიდან დიდი განგაში ასტეხა ნაციონალისტების ბანაკში. დღეს ამ ფაქტს გამოეხმაურა დიდი ხნით ჩაჩუმებული ბ. შ. ამირეჯიბი. ნაციონალისტ-მწერლებში ეს უკანასკნელი აქამდის მაინც ცნობილი იყო, როგორც ჯენტლემენი და თავაზიანი მწერალი, მაგრამ უკანასკნელ თავის წერილში მან ბევრი იმისთანა რამის თქმა იკადრა, რასაც მისგან დაჩვეულნი არა ვართ. ერეკლეს სახელი არ უნდა მოგეხსნათ, რადგან ხალხი თავის სიმღერებში მის სახელს პატივისცემით იხსენიებსო, ამბობს ავტორი და შემდეგ ასე განაგრძობს:

„მრავალ თქმულებიდან მე მახსოვს კიდევ ერთი ხალხური ლექსი, სადაც ირაკლი გამოყვანილია არა როგორც ფუფუნებაში მცხოვრებელი, როგორც ეს დღევანდელ ჩვენს მმართველებს სჭირთ, იმ დროს, როცა ხალხი შიმშილით სივდება, არამედ მწოლარე

# დღეს

ფრაკია საფრანგეთის და საბერძნეთის ჯარმა დაიჭირა.

გერმანიას დასავლეთ რუსეთის რესპუბლიკა არ უცვნია.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ვაშინგტონის კონფერენციაზე დაშვებულ იქნენ გერმანიის და ავსტრიის წარმომადგენლებიც. ამიტომ გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს მუშებისა და დამქირავებელთა თითო წარმომადგენელი.

მოკავშირეთა ჯარების შენახვა დასავლეთ პროვინციებში გერმანიას ორ ნახევარი მილიარდი მარკა უჯდება.

ზემო-სილეზიაში მუშაობა განახლდა.

პეტროგრადთან მედგარი ბრძოლებია. წითელმა ჯარმა მტერს დაახევინა.

ცარიცინიდან კამიშინისაკენ მოხალისეთა ჯარმა აიღო სად. ილოვლია.

ზემო დონის რაიონში მოხალისეთა ჯარმა აიღო სადგური პავლოვსკი.

წითელმა ჯარმა აიღო ქ. კრასნოვოდსკი.

---

კარავში, უნაგირით თავ-ქვეშ"...

ამასთანავე არა-საკადრის საქციელს კადრულობს ბ-ნი შ. ამირეჯიბი ქალაქის თავის მოადგილის გ. კონიაშვილის მიმართ. ვიმეორებთ, ბ-ნ შ. ამირეჯიბისაგან ამ საზიზღარ კილოს ჩვენ შეჩვეულნი არა ვართ. არ ვიცით, რომელი „ჩვენი მმართველები" ყავს სახეში ცილისმწამებელთა რიგში ჩამდგარს ავტორს, მაგრამ ერთ რამეს კი დარწმუნებით მოვახსენებთ მას: არც ერთი „ჩვენი მმართველი" „ფუფუნებაში" არ ცხოვრობს პირიქით, ყველანი დიდის გაჭირებით ცხოვრობენ და ყოველი მათგანი ისეთსავე შიმშილობას განიცდის, როგორც მთელი ხალხი. ფუფუნება და განცხრომა „იმ დროს, როცა ხალხი შიმშილისაგან სივდება", ბ-ნმა შ. ამირეჯიბმა მოიკითხოს იმ სპეკულიანტურ წრეებში, რომლებიც გარს არტყია „საქართველოს" და ნაც.-დემოკრატიულ პარტიას.

## უკანასკნელი ცნობები

**აჯანყება მთაში.**

დენიკინელთა სამხრეთ კავკასიის შტაბის ცნობა: „პიატიგორსკი. სამხრეთ-კავკასიის ჯარის სარდლობის შტაბი იტყობინება: კასპიის იქით მოწინააღმდეგემ ცოტათი შეავიწროვა ჩვენი მოწინავე ნაწილები კაზილ-არვატის სადგურის რაიონში. საჩეჩნეთში მცირე ნაწილებთა შორის სროლაა. დაღესტანში მნიშვნელოვანა არაფერი მომხდარა".

**კრასნოვოდსკის აღება ბოლშევიკების მიერ.**

22 ოქტომბერს ბაქოში მოვიდა გემი „კრიუგერი" ლტოლვილებით. ადერბეიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმესთან არსებულ საინფორმაციო განყოფილების ცნობით, ქ. კრასნოვოდსკი ბოლშევიკებს აუღიათ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**დენიკინელების გეგმები.**

ბათუმის დენიკინელების გაზეთ „ნაშ კრაი"-ს № 230 ში შემდეგი წერილია მოთავსებული:

„მოხალისეთა ჯარის სამხრეთში გაძლიერება—განმტკიცებასთან ერთად, ამიერ-კავკასიის პრესაში ბეჭდვა მოუხშირეს ამაღელვებელ ნოტებს. გამოსთქვამენ შიშს, რომ მას შემდეგ, როცა ომი მთავარ მოწინააღმდეგესთან გათავდება და სატახტო ქალაქი განთავისუფლებულ იქნება, ჯარი დაუბრუნდება თავის მეორე მიზანს—რუსეთის სახელმწიფოს გაერთიანებას და ამ დროს ის შეეჯახება ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს. ამასთანავე იხატება საშინელი და მრისხანე პერსპექტივები მშვიდობიან მცხოვრებთათვის, რომელიც გამოწვეულ იქნება რუსეთის ახალი შემოსევით. რომ ბოლშევიზმის განადგურებისა და სხვა გადაუდებელ საკითხის მოგვარების შემდეგ რუსეთში, მისი მთავრობა დაუბრუნდება განაპირათა საკითხებს—ეს უეჭვოა. მთავარი სარდლობა სრულიადაც არ მალავდა, რომ განაპირა სახელმწიფოებს დროებით ეძლევათ უფლება თავიანთ თავის მართვისა, რომ ამით ხელი შეუწყონ აჯანყების ჩაქრობას. სარდლობას არა ერთხელ გამოუთქვამს სურვილი, რომ მტკიცე და მეგობრული კავშირი ყოფილიყო ამ.-კავკ. რესპუბლიკებთან დამყარებული, რომ ამით გაადვილებია თავისი მიზნის განხორციელება; ის ისე შორს მიდიოდა თავის დათმობაში, რომ უყურადღებოთ სტოვებდა მის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ გამოსვლებს იმ ხალხისა, რომლებმაც მისი გაძლიერების წყალობით იხსნეს თავი ბოლშევიზმისაგან და შესძლეს სხვისი ხარჯით მოეწყოთ სახელმწიფოს მსგავსი რამ და დაემყარებიათ წესიერება. ყოველივე ეს ხდებოდა უკანა აზრების გარეშე მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ ბოლოს და ბოლოს ბუნებრივი და ისტორიული კავშირი გაიმარჯვებს პარტიულსა და ნაციონალურ მისწრაფებაზე. არას დროს, არც ერთ წუთს რუსის მთავრობა საბაბს არ იძლეოდა ეჭვი შეეტანათ მის მტკიცე გადაწყვეტილებაში — ყოველივე ღონით დაცულ იქნას რუსეთის ღირსება მთელ მის ტერიტორიაზე. არც ეხლა უყოფს უარს ის ამ გადაწყვეტილებას. მაგრამ მიუხედავათ თავის უფლების შეგნებისა, მიუხედავათ იმისა, რომ მისი ძალა დღითი-დღე იზრდება, რუსეთი ეკატერინოდარში ან მოსკოვში არ შესწყვეტს ისურვოს, რომ ყველა ის საკითხები, რომლის ირგვლივ ამიერ-კავკასიაში ასე ენერგიულათ აჟღარუნებენ იარაღს, გადაწყვეტილ იქმნას მშვიდობიანი გზით. ჯერ კიდევ დროა, რომ შეწყვეტილ იქნეს ეს იარაღის ჟღარუნი. ჯერ კიდევ დროა, რომ გადადგმულ იქნეს თუნდაც ერთი მეგობრული ნაბიჯი რუსეთისაკენ. ეს ნაბიჯი აუცილებლათ დაფასებულ იქნება და პირველი, რომელიც გადადგამს ამ ნაბიჯს, დაიმსახურებს თავის მხარისა და მთელი რუსეთის მადლობას. ეს საჭიროა არა იმიტომ, რომ ის დააჩქარებს ბუნებრივ და აუცილებელ ამბების მსვლელობას, არა იმიტომ, რომ ეს დაიცავდა იმათ სიცოცხლეს, რომელთაც მოუხდებოდათ თავისი მთავრობის და ბრმაგების მსხვერპლი გამხდარიყვენ, არამედ იმიტომ, რომ ასეთი ნაბიჯი აღმოფხვრის რუსეთის მეხსიერებაში ახლო წარსულის გაუგებრობის კვალს და ამ რიგად შექმნის ახალ, მტკიცე და საღ ნიადაგს მეგობრულ ურთიერთობის გასამტკიცებლათ ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის. ზედმეტია იმის თქმა, თუ რამდენად სასარგებლოა ყველასა და თითოეულის ინტერესისათვის. ასეთივე დიდი უფლებით რუსეთი მოელის, რომ თუნდაც ეხლა, უკანასკნელ გადამწყვეტ დროს, დაჟინებითი წარმომდგენანი თავის გავლენას მოახდინენ".

# რუსეთში

**რუსეთის საკითხი ინგლისში.**

რუს შავრაზმელთა გაზეთ „ველიკაია როსიაში" მოთავსებულია ლონდონიდან წერილი, რომელიც ეხება რუსეთის საკითხს ინგლისში. „რუსეთის კითხვა, ესე იგი კითხვა რუსეთის დახმარებისა, იმ ძალების, რომლებიც იბრძვიან ბოლშევიკების წინააღმდეგ, გადაიხლართა აქ შინაურ კითხვებთან ერთად. რუსეთის კითხვა დაისვა გლაზგოში მუშათა პარტიის კონგრესზე. ამ კონგრესზე ინგლისის და მოკავშირეთა პოლიტიკა—რუსეთის მიმართ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს და რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა, რომ მოკავშირეები არ ჩარეულიყვენ რუსეთის შინაურ საქმეებში, მიღებულ იქნა ერთსულოვნად. საერთოდ კონგრესი არ გაყვა უკიდურეს ელემენტებს, რომელსაც მეთაურობდა სმეილი და კითხვა რევოლიუციონურ მოქმედების შესახებ არ იქნა გადაწყვეტილი, რაც ფაქტიურათ უდრიდა უკიდურეს ელემენტების დამარცხებას.

მაგრამ მაღაროების ნაციონალიზაციის და რუსეთის პოლიტიკურ საკითხში ზომიერი და უკიდურესი ელემენტები შეერთდენ. საერთოდ კონგრეზე დამარცხდენ რევოლიუციონერები, მაგრამ ნათლად გამოსჩანდა მთავრობისადმი უკმაყოფილება. სამხედრო მინისტრი ჩერჩილის დიდი უკმაყოფილონი იყვენ, რადგანაც ის მხარს უჭერდა რუსეთის ანტიბოლშევიკურ ძალებს, მთავრობა იძულებულ იყო გამოეცხადებინა ახალი ოფიციალური ცნობა, რუსეთის ევაკუაციის შესახებ, რომელმაც არავინ არ დააკმაყოფილა. ამ პირობებში მდგომარეობა ლოიდ ჯორჯის შეიქნა მეტად მძიმე და მთავრობის პრესტიჟი დღითი დღე ეცემა. საქმის ამგვარ დატრიალებამ და დამატებითი არჩევნებზე მთავრობის კანდიდატების გაშავებამ ლოიდ ჯორჯი იძულებულ ყვეს გამოეცხადებინა პრესაში, რომ მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა შეძლება მისცეს რუსებს თვით განაგონ თავიანთი საქმე. ამერიკელებმა ამის შესახებ განაცხადეს, რომ რუსეთის კითხვა არ გარჩეულა უკანასკნელ სხდომაზე, ფრანგებმა კი უარყვეს ლოიდ ჯორჯის განცხადება. ამავე დროს ამერიკელმა ბულიტმა—ბოლშევიკების კეთილის მსურველმა, რომელმაც ერთ დროს უარი განაცხადა საზავო კონფერენციაში მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე, გამოაშკარავა ის მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა პრინცების კუნძულზე რუს ბოლშევიკების მოწვევის შესახებ და დაასკვნა, რომ ლოიდ ჯორჯი ისეთი კაცია, რომელსაც კაცი არ უნდა ენდოს არაფერზეო".

**საბჭოთა რუსეთის ფინანსები.**

ფინანსების კომისარმა კრესტინსკიმ გამოაქვეყნა 1919 წლის მეორე ნახევრის ბიუჯეტი. შემოსავალი პირდაპირ გადასახადიდან შეადგენს 1,739 მილ. არა პირდაპირიდან 2,257 მილ. საბაჟოებიდან ერთ მილიონზე ნაკლები. შემოსავალი სახელმწიფო სამრეწველოებიდან 810 მილიონი. გასახელმწიფოებრივ ქონებიდან 15 მილიარდი. მთელი შემოსავლის ჯამი 20 მილიარდს უდრის გასავალი 50,702 მილიონი, რაც შეადგენს 30 მილიარდ დეფიციტს. ბოლშევიკების გასავალი 1918 წ. იანვრიდან—ივნისამდე უდრიდა 17 მილიარდს, ივლისიდან—დეკემბრამდე ოცდა ცხრა მილიარდს, 1919 წლის იანვრიდან—ივნისამდე 50 მილიარდს, გასავალის ჯამი შემდეგ ხარჯებიდან სდგება: ომზე გაწეული ხარჯები—12 მილიარდი, მცხოვრებლების გამოკვება 8 მილიარდი, ჯამაგირები უმაღლეს სასურსათო საბჭოს 5814 მილიონი, გასახელმწიფოებრივ წარმოებებში მუშების ჯამაგირი 5 მილიარდი, ჯამაგირები რკინის გზელებს 5 მილიარდი, ჯამაგირები ცენტრალურ კომიტეტის და სავნარკომის წევრებს 459 მილიონი, „ჩერეზვიჩაიკების" ხარჯები 342 მილ. ფინანსთა სამინისტროს ხარჯები 1,403 მილ. ხალხის ჯანმრთელობისათვის გაწეული ხარჯები 1227 მილ. სახელმწიფო ქველმოქმედების ხარჯები 1,619 მილ. ვალების სალიკვიდაციო კომისიის ხარჯები 100 მილიონი.

# ადერბეიჯანში

**პარლამენტში.**

ადერბეიჯანის პარლამენტმა დაადგინა, დეპუტატი დაჯარიმებულ იქნას 500 მანეთით, თუ არა საპატიო მიზეზების გამო სხდომას გამოუშვებს. ჯარიმა გადახდებათ იმ დეპუტატებსაც, რომელნიც უმიზეზოდ სხდომას დასტოვებენ და ამით დაარღვევენ ქვორუმს.

**ლტოლვილები.**

ლტოლვილების მომწყობმა ცენტრალურმა კომისიამ ვრცელი მოხსენება წარუდგინა ადერბეიჯანის მთავრობას ერევნიდან გამოქცეულ ლტოლვილების შესახებ. კომისია საჭიროთ სცნობს დაასახლოს ლტოლვილები სომხების მიერ დატოვებულ სოფლებში ნუხის, არეშის, გოგჩაის, შემახინის მაზრებში. კომისია საჭიროთ სცნობს სამეურნეო იარაღებით აღმოეჩინოს დახმარება ლტოლვილებს და ამისათვის კომისია საჭიროთ სთვლის ახლავე გადაიდოს 164,400,000 მანეთი ამ მიზნისათვის.

**ლენქორანის გლეხთა შუამდგომლობა.**

სოფელ პულადლისა და პუტა სარის რწმუნებულებმა მიმართეს „მუსავატ"-ის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს თხოვნით, რომ მათ შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე, რათა ისინი განთავისუფლებულ იქნან პულადლინის ხანისა და მემამულე ტუგრა-ხანისათვის მოსავლის ნაწილის მიცემისაგან. ეს თხოვნა კომიტეტმა მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასცა.

# სომხეთში

**უორდროპი ერევანში.**

თფილისიდან ერევანში ჩავიდა უორდროპი, რომელსაც ზეიმით შეხვდნენ. მიესალმა რა სტუმარს, პრემიერ მინისტრმა აღნიშნა, რომ იმედია ინგლისი დაეხმარება და დაიცავს სომხეთის დამოუკიდებლობას, იმ სომხეთის, რომელმაც, როგორც ერთგულმა მოკავშირემ თავისი პატარა ჯარი მთელი ძალ-ღონით დაეხმარა მოკავშირეებსო. უორდროპმა აღნიშნა, რომ ინგლისი სთვლის სომხეთს მოკავშირეთ და მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ მისი სურვილები განხორციელდეს. დიდი ბრიტანეთის კომისარს დახვდნენ აგრეთვე ერევანში მყოფი ყველა ქვეყნების მისიები.

**ყარსის ოლქის მუსულმანთა ნაციონალურ საბჭოს მემორანდუმი.**

ყარსის ოლქის მუსულმანების ნაციონალურ საბჭოს მიერ არჩეულმა დელეგატებმა მემორანდუმი წარუდგინეს ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს, სადაც აღნიშნულია ის ძალმომრეობანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მუსულმანების მიმართ ყარსის ოლქში და ერევნის გუბერნიაში.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

**24 ოქტომბერი.**

**მოხალისეთა ცნობები.**

(მიღებულია ნიკოლაევის რადიო-სადგურიდან). ოქტ. 10. (ძვ. სტ.) ასტრახანის მიმართ. მტერი შეეცადა გამოსულიყო ჩორნი იარიდან, მაგრამ ჩვენ ზარბაზნების სროლით უკუ ვაგდეთ. კამიშინის მიმართ. კავკასიის არმიის ნაწილები შეტევას ანვითარებენ და ლოზნოე საზონოვ პოპოვ-პესოჩნის ხაზზე გამოვიდენ. მტერი უკან იხევს. ხელში ჩავიგდეთ 7 ტყვიისმფრქვეველი და სხ. სამხედრო მასალა, წამოვიყვანეთ 100 ტყვე. სად. ილოვლია წითლებმა დასცალეს. 7 ოქტ. განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა სააფიაციო რაზმის მფრინავმა კაპიტ. ბორდოვსკიმ, რომელმაც ყუმბარებით მტრის ბატარეია ჩააჩუმა და ცხენოსანი რაზმი გაფანტა. ზემო დონის რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება. ხოპერიდან მტერი იხევს. დონის ჯარმა სადგ. პავლოვსკაია დაიჭირა, წამოვიყვანეთ 500 ტყვე. ლისკის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. კორანცკის რაიონში მოწინავე რაზმების შეჯახებაა. ტულის მიმართ. კრომის და დიმიტროვსკის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ჩერნიგოვის და კიევის რაიონი: არსებითი ცვლილება არ მომხდარა მოგილევის მიმართ. გენ. სლაშჩევის ჯარმა მტრის გაიტინის რაზმი დაამარცხა და ბრაცლავ - ტულჩინის ხაზზე გამოვიდა. 2—3 ოქტ. (ძვ. სტ.) წამოვიყვანეთ 4000 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 17 ზარბაზანი, 48 ტყვიის მფრქვეველი, 1 ჯავშნიანი მატარებელი და სხვა მრავალი ქონება. ოდესის რაიონში სიწყნარეა.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი**, ოქტ. 24 ფრონტებზე ფინეთის ყურეს სანაპიროზე და დეტსკოე სელოს და პავლოვსკის რაიონში მდ. უსოჟის იქით შეტევას მარჯვეთ ვავითარებთ. დმიტრიევის და ორლოვის რაიონში მოწინააღმდეგის შევიწროვებას განვაგრძობთ. კურგანის რაიონში წითელი ჯარი ზვერინოგოლოვის აღმოსავლეთით 50 ვერსით მდებარე ხაზზე გავიდა.

**პეტერბურგი**, ოქტ. 23, წითელი ჯარის სულიერი განწყობილება მშვენიერია. ჩვენი ნაწილების შორის კავშირი და მომარაგება ჩინებულია. სარდლობა გაუმჯობესდა. მუშაობა სდუღს. პიტერი გამოიცვალა: რამდენიმე ათასი მუშა განუწყვეტლივ მუშაობს. მუშების თავგანწირულება სამაგალითოა. პიტერი ჩვენი იქნება. იუდენიჩს დავამარცხებთ. მისი ბატონები—ინგლისელები წააგებენ. ზინოვიევი". **ურალსკი**, ოქტ. 22. წითელ ჯარების სულიერი განწყობილება მშვენიერია, ყველა დარწმუნებულია გამარჯვებაში. **№ ის არმიის შტაბი**, ოქტ. 22. არხანგელსკიდან მოსული პირი გადმოგვცემს, რომ პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ლიკვიდაცია მოხდა.

**ვიატკა**, ოქტ. 22. კომუნისტურ პარტიის წევრების 25 პროც. მობილიზაცია მოხდა. ისინი მოსკოვის და პიტერის დასაცავად იგზავნებიან.

„იზვესტია" თავდაცვის კვირის შესახებ სწერს: „დღეიდან მოსკოვში იწყება თავდაცვის კვირა. მოსკოვის მუშები დაიცავენ თავის ქარხნებს და ფაბრიკებს და დაამარცხებენ მტერს იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციულად შეკავშირდებიან და ხელიდან არ გაუშვებენ იარაღს. სიფხიზლე და მომზადება, აი რას გვიკარნახებს მომენტი. მოემზადე საბრძოლველად, მოგიწოდებთ თავდაცვის კვირა. მუშათა კლასის ძალა მის ორგანიზაციაშია.

**ბელოზერსკი**. ოქტ. 22. ქალაქის ორგანიზაციის მობილიზაცია მოხდა მათი განწყობილება რევოლიუციონურია. ყველა წითელი ფრონტის დასაცავად მიეშურება.

**გერმანული პრესის ცნობები.**

მიუხედავად გაზეთების ცნობისა ბერლინში დასავლეთ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ, იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობას დასავლეთ რუსეთის რესპუბლიკა არ უცვნია.

მართლდება ის ცნობა, რომ მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაადგინა: ვაშინგტონის კონფერენციაზე დაშვებულ იქნენ გერმანიის და ავსტრიის წარმომადგენლები. ამიტომ გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს მუშებისა და დამქირავებელთა თითო წარმომადგენელი.

გერმანიის კონსერვატიული პრესა იუწყება, რომ ლიტველები ემუქრებიან ბალტიიდან გერმანულ ჯარის სამშობლოში გადაზიდვას, გენ. ებერკარდტი ლიტველებთან მოლაპარაკებას განაგრძობს.

ხუთშაბათს ეროვნულ ყრილობაზე ფინანსთა მინისტრმა დაწვრილებით გამოარკვია მთელი სიმძიმე მოკავშირეთა მიერ დასავლეთის პროვინციების ოკუპაციისა მოკავშირეთა ჯარის შენახვა 212 მილიარდი მარკა ჯდება. ყველასათვის, ვინც გერმანიის ეხლანდელ ეკონომიურ მდგომარეობას იცნობს, ცხადია, რომ შეუძლებელია ეს მომავალში კიდევ გაგრძელდეს, რადგან გერმანიამ დიდი ვალდებულებანი უნდა მოიხადოს მოკავშირეთა წინაშე ეხლანდელი ზომები იმდენათ გაალარიბებს გერმანიას, რომ ის ვერ შესძლებს ვალდებულებათა შესრულებას, რაც მოკავშირეებს დააზარალებს.

ლიონში გამოიცა ბ გილერვილეის ბროშიურა, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ ომამდე რამდენიმე ხნით ადრე მცხოვრებლები გერმანიის წინააღმდეგ იყვენ განწყობილი, რომლის პასუხისმგებელი არიან უმეტეს ნაწილად ბერლინში მყოფი საფრანგეთის კორესპონდენტები. ზოგიერთი მათგანი დამახინჯებულ ცნობებს იძლეოდა.

ზემო სილეზიის რაიონში მუშებმა შეიგნეს გაფიცვების უაზრობა, რომელიც თვათ მათთვისაა საზარალო. ეხლა მუშები სცდილობენ ნახშირი მეტი და იმუშაონ.

ებერტმა მადრიდის გაზ. „უპარტიო"-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა თვისი უკმაყოფილება ბლოკადის გამო, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ გამოცხადდა. ოპტიმიზმი გერმანიის შინაურ მდგომარეობის შესახებ არ სუსტდება, რეაქციონერების ყოველივე ცდა მარცხდება. ეკონომიურ მდგომარეობის მხრივ ზამთარში კატასტროფა აუცილებელია.

მიღებული ცნობებით, ხუთშაბათს საგამომძიებლო კომიტეტის მცირე კომისიის სხდომა მოხდა იმის გამოსარკვევათ, შესაძლებელი იყო თუ არა ომის დროს ზავის შეკვრა. ამ კომისიის თავმჯდომარედ არის გერმანულ ეროვნულ პარტიის წევრი ვარმუტი, მდივნად—ცენტრის პარტიის წევრი. მეუმრავლესე სოციალისტების წარმომადგენელი ზინგჰეიმერი მომხსენებელია. გერმანული პრესის წარმომადგენლებს გარდა დაესწრენ უცხოეთის პრესის წარმომადგენლებიც. კომისიამ უნდა გამოარკვიოს ფაქტები, განაჩენს კი სახელმწიფო სასამართლო გამოიტანს. რამდენიმე ექსპერტი იქნება. ვაშინგტონის ყოფილი ელჩი გრაფი ბერნტორფი მოწმედ გამოიწვიეს სახელმწიფოს ყოფილი მუშაკნი ბეტმან-ჰოლვეგი და ჰელფერიხი დაესწრენ როგორც მაყურებელნი. დ რ ზინგმეიხერმა განიცხადა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ყველა ფარული ხელშეკრულებები მცირე კომისიის ხელშია. საბუთები, რომლებიც სამხედრო სამინისტროს, საადმირალოს და მთავარ შტაბს შეეხება, უფრო გვიან იქნება წარდგენილი. ზინგმეიჰერმა ვილსონის მუშაობის ხანა ოთხ ნაწილად გაყო:

1) ომის დაწყებიდან ეგრეთ წოდებულ სუსექსის ნოტაზე, რომელიც ვილსონის სახელზე გაიგზავნა 1916 წ. 4 მაისს, წყალქვეშა ბრძოლის და ბლოკადის გამო. 2)—1916 წ. 12 დეკემბრამდე, როდესაც გერმანიამ წინადადება შეიტანა ზავის შესაკრავად, 3)—ვილსონის საზავო ნოტიდან რომელიც გადაეცა მეომარ სახელმწიფოებს 1916 წ. 21 დეკემბრიდან—1917 წ. იანვრამდე, როდესაც გადასწყდა წყალქვეშა ომის თავისუფალი წარმოება. 4)—და უკანასკნელი პერიოდი, 1917 წ. იანვრიდან, როდესაც ამერიკამ გერმანიასთან დიპლომატიური დამოკიდებულება შესწყვიტა. ზინგჰეიმერი ლაპარაკობს, რომ თუ საბუთებით ვიმსჯელებთ, პირველ პერიოდში არავითარი გადამწყვეტი ზომები არ ყოფილა მიღებული ზავის შესაკრავადაო. მეორე პერიოდში გრაფმა ბერნსტორფმა მიიღო ინსტრუქციები აეძულებია ვილსონი საზავო წინადადება გაეკეთებია. ბერნსტორფმა გვაუწყა, რომ ვილსონი მზად არის ამაზე, ამერიკის საზოგადოებრივი აზრიც მხარს უჭერს ზავის რაც შეიძლება მალე შეკვრას, მაგრამ გერმანიის წინააღმდეგ არიან აღმდგარი წყალქვეშა ომის და ბელგიაში მოქმედების გამო. 1916 წლის 18 ოქტომბრის ბეტმან ჰოლვეგი და გრაფი ბურიანი ზავის შესაკვრათ მოლაპარაკებას აწარმოებდენ. დეკემბერში ბერნსტორფს აუწყეს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე შეიკვრას ზავი. მან უპასუხა, რომ იანვარში ვილსონის საზავო წინადადება მოსალოდნელია. მესამე პერიოდი დაიწყო ვილსონის წინადადებით შუამავლობის შესახებ და თხოვნით, რომ ეუწყებინათ მისთვის კონკრეტული პირობები საზავო. ერთი ნეიტრალური სახელმწიფო იუწყებოდა, რომ მტრები მზად არიან ზავზე წავიდნენ სხვადასხვა ცნობილ პირობებზე ბელგიის აღდგენაზე. 18 დეკ. ამის შესახებ ბერლინში გაიგეს. 26 დეკ. ციმერმანმა უარი განაცხადა ზავის კონკრეტიული პირობები აღენიშნა.—(გამოტოვებულია)... მოკავშირეებმა პასუხი არ გასცეს. დეკემბერი გაცხადებული იყო, რომ ამერიკა ნეიტრალურად დარჩება. პოლკ. ხოუსმა, რომელიც ევროპის სატახტო ქალაქებში იყო, გვაუწყა, რომ „ლუზიტანიის" დაღუპვის შემდეგ არავის არ სურს ზავზე ლაპარაკი... (შემდეგ გამოტოვებულია).

**ლიონის რადიო-სადგურის ცნობები.**

ფრაკია საფრანგეთის და საბერძნეთის ჯარმა დაიჭირა. არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ იუდენიჩის არმია მარჯვედ მოქმედებას განაგრძობს, მაგრამ პეტროგრადის აღების ცნობა ჯერ არ გამართლებულა.

# ახალი ამბები

**ბათუმის გენერალ-გუბერნატ.** კუკკოლისმა დაითხოვა ქობულეთის სადგურის უფროსი კოვიაზოვი და მის ალაგას დანიშნა ლეიტენანტი ოლიო, რომელსაც გაეგზავნა მიწერილობა ყოფილი სადგურის უფროსი ბათუმში წარადგინოს საქმეების ჩასაბარებლად.

✦ **ლორთქიფანიძის გამგზავრება რომში.** [illegible] საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი [illegible] ბათუმიდან [illegible] რომში გაემგზავრა, სადაც ის იქნება ორშაბათს.

✦ **ქართული თეატრი.** ქართული დასის შედგენა უკვე დაასრულა ვალ. გუნიამ. დასი სისტემატიურად გამართავს წარმოდგენებს ქართულ კლუბის სცენაზე და სახელმწიფო თეატრშიც. დასის შემადგენლობა ასეთია: ქ. ქ-ბი. აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ., ლეჟავა ოლ., ჯავახიშვილი ნ., გორდელი, ივერელი, ელ. ჩერქეზიშვილი და სხვ. ბ-ბი: აბაშიძე ვასო, აბდუშელი დ., გუნია ვ., დადიანი შ., მატარაძე ვ., სარაული მ., ჯიქია ვ., ჩარკვიანი დ., ციციშვილი კ., ფრანგიშვილი და სხვ. პიესების დადგმა დროგამოშვებით მინდობილი ექნება კ. ანდრონიკაშვილს, ალ. ახმეტელაშვილს, ვალ. გუნიას, შალვა დადიანს და პ. დადვაძეს. იქნება დაარსებული ხელოვნების კომისია, რომელშიაც შევლენ ქართველი ცნობილი მწერალ დრამატურგნი და მხატვრები. რეჟ. თანაშემწე ა. გუგუშვილი. კვირას, 26 ოქტომბერს ამავე დასის მიერ საუკეთესო ძალებით წარმოდგენილ იქნება ერისთავის პიესა „ოჯახის გაუბედურება".

✦ **ამერიკულ ფირმების განცხადება.** ამერიკის გენერალური საკონსულო იუწყება, რომ ნიუიორკის საექსპორტო და საიმპორტო ფირმა „ბაგრო და შვ—ბი" ყველას საყურადღებოდ აცხადებს, რომ მას შეუძლიან ამერიკის ბაზარზე გასატან ყოველგვარ ნედლი მასალის გაყიდვისთვის შუამავლობა.

— „ტრეტინგი და კომპ." ფირმა აცხადებს, რომ მას შეუძლია ყველას მიწოდოს სხვადასხვა ქსოვილები, ფეხსაცმელები, ფოლადისა და სხვა ნაწარმოები განუსაზღვრელ რაოდენობისა.

— „მეტ ჰორდვერ"-ის ფირმა იუწყება, რომ მას შეუძლია ყველას მიაწოდოს ავტომობილები და სხვადასხვა საავტომობილო მასალები განუსაზღვრელ რაოდენობით. მსურველთ ცნობებისათვის უნდა მიმართონ ამერიკის საკონსულოს.

✦ **გაზეთის დახურვა.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით სისტემატიურად ყალბი ცნობების მოთავსებისათვის დახურეს გაზეთი „ტიფლისკაია გაზეტა". გაზეთის რედაქტორი ლებედევი გადაასახლეს რესპუბლიკის საზღვრებიდან.

✦ **ადერბეიჯანის მიწად მოქმედების მინისტრი** ყარადაში, თფილისით ლაგოდეხში გაემგზავრა, სადაც ის მონაწილეობას მიიღებს იქ მომხდარ კონფლიქტების გამომძიებელ კომისიაში.

✦ **„კერენკების" შესახებ.** თანახმათ მთავრობის დადგენილებისა ამა ოქტ. 18 ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთის ფულის, ეგრეთ წოდებულ „კერენკის" მიღება სახელმწიფო, საზოგადოებრივ, საკრედიტო და სხვა დაწესებულებებში დროებით შეჩერებულ უნდა იქნეს. ამის მიხედვით, ხაზინებსა და სახელმწიფო ბანკს ევალება სახელმწიფო დაწესებულებათაგან მიიღონ „კერენკები" მხოლოდ დღემდის დაგროვილი მათ სალაროში, რაიცა შესაფერ საბუთებით უნდა იყოს გამართლებული. ამასთანავე ფინანსთა სამინისტრო საყოველთაო საცნობად აცხადებს, რომ აღკრძალულია მიღება საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ფულის ნიშნისა, ეგრეთ წოდებულ „დონის ფულის ნიშნებისა".

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, სახალხო უნივერსიტეტის მესამე განყოფილებაში (ჩუღურეთი) და ხვალ—მეხუთე განყოფილებაში (წმ. ნინოს რაიონი) მორიგი ლექციები არ შესდგება.

✦ **გამოცდები ტეხნიკოსის ხარისხზე.** თფილისის პოლიტეხნიკური სასწავლებელი აცხადებს, რომ გამოცდა ტეხნიკოსის ხარისხზე იმ მოწაფეთა, რომელთაც რკინიგზის ტეხნიკური სასწავლებლები დაუმთავრებიათ და ორი წლის სავალდებულო პრაქტიკა შეუსრულებიათ, მოხდება სასწავლებელში ამა წლის 26 დეკემბერს.

**კრებები.**

ხვალ, კვირას დილის ათ საათზე მუშათა კლუბის თეატრში (პლეხანოვის პრ. № 123) შესდგება შეერთებული სხდომა ქ. თბილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და კავშირთა გამგეობებისა, რომელიც მოისმენს და განიხილავს მოხსენებას შესახებ იმისა, თუ როგორ ეწყობა საქმე მუშებისათვის იაფ ფასიან სანოვაგისა და სხვა აუცილებელ საგნების მიწოდებისა. სეკრეტარიატი სთხოვს ამხანაგებს აუცილებლივ დაესწრონ ამ სხდომას სათანადო მანდატებით.

— კვირას, დილის 10 ს. შესდგება თფ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტების სოციალ-დემოკრატ სტუდენტთა კრება. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

— კვირას, დილის 10 ს. კინემა-

...რაფ „კინოპალასში“ (მიხეილის პრ. 125) დანიშნულია საზოგადო კრება ...ლექტრიკების კავშირის მუშებისა.

— კვირას, დილის 10 ნახევარ საათზე ...რეალურ სასწავლებლის შენობაში დანიშნულია ამ სასწავლებლის მოწაფეთა მშობლების კრება.

— კვირას დილის 10 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში დანიშნულია ხსენებულ უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება.

— ერთობის უბნის სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს ამხანაგ გვარდიელებს, რომ კვირას, 26 ოქტომბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია საერთო კრება ამ რაიონის გვარდიელებისა, რომელზედაც მოხდება ახალი არჩევნები შტაბის წევრებისა. სთხოვენ ყველა გვარდიელებს აუცილებლად დაესწრონ და არ დაიგვიანონ.

— კვირას, დილის 9 საათზე, პუშკინის სახელობის სამკითხველოს შენობაში დანიშნულია საზოგადო კრება თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირისა. თუ კრება დანიშნულ დროს არ შესდგა, მეორე კრება მოხდება ერთი საათის შემდეგ, რომელიც კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

## რკინის გზელთა მეორე ყრილობა

(პირველი დღე)

23 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ყრილობას ხსნის რკინის გზის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე ერ. ...დიძე, რომელიც აღნიშნავს იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც უხდებოდათ წარსულში მუშაობა რკინისი გზელებს. ...ამათ, ამბობს „ის, უკეთეს პირობებია და ეს ყრილობა უფრო ნაყოფიერად იმუშავებსო. ჩვენ გვეუბნებიან, რომ პროლეტარიატის ავანგარდი ხართო, ეს ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთო. შემდეგ ის მოუწოდებს ყრილობას თავმჯდომარის არჩევისაკენ. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა გრ. ლორთქიფანიძე, რომლის გამოსვლას დიდი ტაშის ცემით შეხვდენ. თავმჯდომარის ამხანაგებათ არჩეულ იქნენ: ვ. სიხარულიძე და ...ორგაძე, მდივნებათ ს. თავაძე და ...ნ. რუხაძე. თავმჯდომარემ შემდეგი სიტყვებით გახსნა ყრილობა:

გმადლობთ იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ ასეთი საპასუხისმგებლო საქმის დაკისრებით. საპასუხისმგებლოა ეს საქმე არა იმიტომ, რომ საერთოთ ასეთია თავმჯდომარის მოვალეობა ან ტეხნიკურათ წარმოადგენს სიძნელეს ას წეკრიან ყრილობის ხელმძღვანელობა. არა. საქმე იმაშია, რომ დღეს ამ დარბაზში იწყებს თავის მუშაობას დემოკრატიის ბელადის პროლეტარიატის ყველაზე მოწინავე რაზმის, რკინის გზის პროლეტარიატის ყრილობა. აქ თავს იყრის ავანგარდთა ავანგარდის რჩეულნი, და რასაკვირველია თქვენ თითეულ სიტყვას, თქვენს აზრევსა და განაჩენს უდიდესი ინტერესით მოეპყრობა და თავისთვის სახელმძღვანელო მცნებათ ჩაითვლის მთელი მუშათა კლასი საქართველოში. თქვენს სიტყვას ანგარიშს გაუწევს საქართველოს მთელი დემოკრატია. მისი მტერი და მოყვარე. კიდევ მეტი, თქვენს ნაქვამსა და ნამოქმედარს თვით საერთაშორისო ასპარეზზედაც გააგდებენ ჩვენი მტერ-მოყვარენი, როდესაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ყოფნა არყოფნის კითხვა დადგება, სადაც ჯერ არს. თქვენ უნდა თქვენი ავტორიტეტული დადგენილებით ხელი შეუწყოთ სახელმწიფო მეურნეობის იმ დიდ მნიშვნელოვან დარგს, რომლის მუშაკთა წარმომადგენელი ხართ. ხოლო ამაზე ლაპარაკი, თუ რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის არსებობაში და მთელი ხალხის ბედნიერებისათვის, რკინის გზას და საერთოთ სამიმოსვლო საშუალებებს, ამაზედ გრძელი სიტყვა რა საჭიროა. თანამედროვე, რამც თუ სახელმწიფო, მსოფლიოც კი ერთ ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს; და ამ სხეულში გზა და ფოსტა ეს იგივეა, რაც ადამიანის ორგანიზმში ძარღვები დასისხლის მილები. სახელმწიფო განადგურებული ტრანსპორტით, ეს ძარღვებ დაკვეთილი და არტერიებ დაჭრილი ადამიანია. ასეთი სახელმწიფო განწირულია, მისი საქმე ხელიდან წასულია. ათასი რა სიმდიდრე იყვეს ასეთ ქვეყანაში, ის უქმია, ვინაიდან მისი გადაზიდვა შეუძლებელია. ათასი რა გავდებული დამცველი ყავდეს ამგვარ სახელმწიფოს—ფუჭია, თუ მეომართა თავის დროზე გადაყვან გადმოყვანა და მათთვის სურსათისა და იარაღის მიწოდება ვერ მოხერხდა. ასეთი მაგალითის საძებრათ შორს წასვლა არ დაგჭირდებათ—აიღეთ თუ გინდ ყოფილი რუსეთი.

აი ამდენი და ასე დიდმნიშვნელოვანი მოვალეობანი გაწევთ თქვენ და, რასაკვირველია, თქვენი მუშაობა ფრიდათ საპასუხისმგებლოა. მაგრამ უნდა პირუთვნელათ მოგახსენოთ, რომ მე სრულიადაც არა მაქვს იმის შიში, რომ თქვენ პირნათლად ვერ შეასრულებთ თქვენს დიდ მოვალეობას. მუშათა ის ჯგუფი, რომელმაც წარსულ საშინელ ქარიშხალის შემდეგ ამ გვარ დონეზე შეინახა რესპუბლიკის რკინის გზა რომელიც სამაგალითო და თითით საჩვენებელი შექნა მთელ ყოფილ რუსეთში. პროლეტარიატის ამ ჯგუფს განა უღალატებს სახელმწიფოებრივი ინსტიქტი და კლასიური შეგნება? მე მგონია არას დროს აი ამ ღრმა რწმენით ვხსნი საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზათა პროლეტარიატის მეორე ყრილობას და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის განსამტკიცებლათ და მუშათა კლასის შეგნებისა და ორგანიზაციის გასაძლიერებლათ, რაც ამ ისტორიულ წამში ჩვენთვის ერთი და იგივე საქმის ორი მხარეა (ტაში).

შემდეგ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელით ყრილობას ესალმება ალ. ლომთათიძე, რომლის გამოსვლას ცხარე ტაშის ცემით ხვდებიან. ამხანაგებო, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელით მაქვს პატივი მოგიძღვნათ მხურვალე სალამი. მე უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ დღეს ისეთი მომენტი არ არის, რომ მქუხარე სიტყვებს რაიმე ადგილი ქონდეს. არც ის არის საჭირო, რომ აქ დაწვრილებით აღნუსხულ იქნას ის დიადი მნიშვნელობა, რომელიც ქონდა ამ უკანასკნელ 10 წლის განმავალობაში და მეტადრე ამ რევოლიუციის დროს ჩვენი დემოკრატიის მართლაც რევოლიუციონურ მებაირახტრეს ჩვენი რკინის გზების პროლეტარიატს. და ეს დამფუძნებელი კრება—გვირგვინი საქართველოს დემოკრატიის ძლევა მოსილი რევოლიუციონური ბრძოლისა, ეს ხალხის ნებისყოფის გამომხატველი საკანონმდებლო სფეროში, ეს დამფუძნებელი კრება ხომ უპირველეს ყოვლისა ჩვენი პროლეტარიატის, და მაშასადამე, თქვენი მძლეთამძლე ბრძოლის ნაყოფია. დამფუძნებელი კრება, თუ დღეს ამ საშინელ ქაოსის დროს, როდესაც ჩვენს გარშემო ერთის მხრით ანარქია, მეორეს მხრით რეაქცია ერთმანეთს ებრძვის, განაგებს ქვეყნის საქმეს, გვაქვს საძირკველი ეს უპირველესად ყოვლისა ჩვენი პროლეტარიატის და მუშების საქმეა, მათი დაუღალავი ბრძოლის ნაყოფია. დამფუძნებელი კრება დღეს დამშვიდებულად მუშაობს, ის დარწმუნებულია, რომ მისი მუშაობის მოდარაჯე ჩვენი პროლეტარიატი არავის არ მისცემს ნებას, რომ მას ხელი შეუშალოს. დამფ. კრება კვლავაც იმუშავებს მანამ, სანამ დემოკრატიის სიმპატია მის მხარეზეა. პრეზიდიუმი სიტყვას სდებს თქვენს წინაშე, რომ ის არ გადაუხვევს საკანონმდებლო გზას და დარწმუნებულია, რომ ის თქვენთან ერთად გამოიყვანს ჩვენს ქვეყანას იმ კრიტიკული მდგომარეობიდან, რომელშიც დღეს არის. ორატორი კვლავ ესალმება ყრილობას და რწმენას გამოსთქვამს, რომ ჩვენი დემოკრატიული შავი მშვიდობიანათ მივა იმ ნავთსაყუდელში, რომელსაც ეწოდება სოციალიზმიო. დამფუძნებელი კრება მინამდე არ დახრის თავის დროშას, სანამ დანიშნულ მიზანს არ მიაღწევსო. (მქუხარე ტაში).

გზათა მინისტრი ნ. ხომერიკი ესალმება ყრილობას მთავრობის სახელით მეტათ მძიმე პირობებში უხდებათ რკინის გზის მუშებს შეკრება. 5 წლის ომმა ძალზე შეარყია არა მარტო ახალი სახელმწიფოების მეურნეობა, არამედ იმ სახელმწიფოებისაც, რომლებიც საუკუნოებით ვითარდებოდნენ. სახელმწიფოთა შორის მოისპო ნორმალური ურთიერთობა. საუკუნოებით დაგროვილი სიმდიდრე განიავდა, წარმოება დაეცა და დღეს საშინელი ფინანსიური და ეკონომიური კრიზისი გამეფდა. ამის შედეგებს მწვავეთ ჰგრძნობს ჩვენი სახელმწიფოც. მთელი მისი არსებობის ისტორია ამ წინააღმდეგობასთან ბრძოლით გამოიხატება. და თუ ჩვენ ეს წინააღმდეგობანი ჯერ ჯერობით გადავიტანეთ, და რევოლიუციის მონაპოვარი რამოდენიმეთ შევინარჩუნეთ, ეს მიეწერება ჩვენი დემოკრატიის ბრძოლას და მისი ავანგარდის, რკინის გზის პროლეტარიატის თავდადებას. მიუხედავათ აუტანელი მდგომარეობისა, დიდი გაჭირვებისა, ჩვენი მუშათა კლასი მაინც არ დასდგომია იმ დამღუპველ გზას, რომელმაც ბოლო მოუღო სახელმწიფოებრივ ცხოვრებას რუსეთში. ჩვენს რკინის გზელებს კარგათ ესმოდათ, რომ ყოველგვარ მოთხოვნილებებს თავის საზღვარი აქვს და ეს საზღვარია შესაძლებლობა. თქვენ კარგათ გრძნობდით, რომ იმაზე მეტი მოგეთხოვათ სახელმწიფოსაგან, რაც მას არ გააჩნდა და რის მიცემაც არ შეეძლო, ამით ჩვენ გავსწევდით იმ გზით, რომლითაც წავიდა რუსეთის მუშათა კლასი და რომელმაც ის დაღუპა. და თუ ამ პატარა საქართველოში კიდევ შევინარჩუნეთ რევოლიუციის მონაპოვარი, ეს ამ სწორი პოლიტიკით აიხსნება. რკინის გზის დემოკრატიას ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ვისაც რაც უნდა ის თქვას. თქვენს ღვაწლს ისტორია მაინც არ დაივიწყებს რუსეთის ჯარის დემობილიზაციის დროს. თუ ჩვენი რკინის გზა დღეს მოწყობილია, ეს თქვენი მუშაობით აიხსნება. და ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ გყავს არა „ჩინოვნიკები“, არამედ ნამდვილი თანამშრომლები, რომელნიც თავის პირად, ჯგუფურ ინტერესებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ სწონავენ სახელმწიფოს მდგომარეობას და ისე აყენებენ ამა თუ იმ მოთხოვნილებას. დასასრულ ის დაწვრილებით აღნიშნავს დიად მნიშვნელობას რკინის გზის დემოკრატიისა და ამბობს: მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ თქვენებურად, ძველებურად ივლით იმ გზით, რომლითაც მიდიოდით საბოლოო მიზნისაკენო. (მქუხარე ტაში)

შემდეგ საქართველოს სოც. დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ის. რამიშვილი, რომლის გამოსვლას ხანგრძლივი ტაშის ცემით ხვდებიან, ის ამბობს: ამხანაგებო, საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზათა მუშაკნო!

დღეს მე წილად მხვდა დიდი პატივი და ბედნიერება. საქ. სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა, რათა წარმოვმდგარიყავი ჩვენი რკინის გზათა მუშა მოსამსახურეთა მეორე ყრილობაზე და მთელი პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის სახელით მომეძღვნა თქვენთვის გულწრფელობით ალსავსე სალამი და მოლოცვა.

ვასრულებ რა თქვენს წინაშე ამ დიდ დანავალებს, გესალმებით და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას დანაკისრი მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად.

ახლა ნება მიბოძეთ რამოდენიმე ჩემი მოსაზრებანი და შთაბეჭდილებანი გაგიზიაროთ.

ამხანაგებო! საქართველოს სოციალისტური დემოკრატია დიდათ აფასებს იმ ამშენებლობით მუშაობას, რომელსაც რკინის გზის დემოკრატია აწარმოებს თავის სამოქმედო ფარგლებში, რკინის გზის სფეროში. თქვენი თანამოძმენი, ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში მომქმედნი მუშა-მოსამსახურენი ღრმად არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ რკინის გზის დემოკრატია იყო ავანგარდი იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდა საერთოდ დემოკრატია ძველ რეჟიმთან; ავანგარდია იგი ახლაც, როცა შენდება ახალი და თავისუფალი ცხოვრება საქართველოში. ყველას გვჯერა, რომ თვით უმწვერვალესი გასაჭირის ჟამს თქვენ შეუნახეთ ქვეყანას, ხალხს ის მთავარი ნერვი, როგორიც არის რკინის გზა, ურომლისოდაც ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა, ქვეყანა დაიღუპებოდა.

ცხოვრების არც ერთ დარგს არ დასწოლია ისე მძიმე ტვირთათ ომი და ანარქია, როგორც დააწვა რკინის გზებს და მით მუშაკთ, და მიუხედავათ ამისა, არც ერთი დარგი არ გამკლავებია ამ გასაჭირთ ისე მამაცურად, არც ისე მალე გასწორებულა წელში და შესდგომია ნორმალურსა და ნაყოფიერ მუშაობას, როგორც ეს მოახერხა ჩვენმა რკინის გზამ. საშინელი განკითხვის ჟამს, როცა ანარქიის ალში უნდა გახვეულიყო ჩვენი ქვეყანა, როცა დაბრუნებული ეშელონები გვემუქრებოდენ წალეკვით და გაპარტახებით, რკინის გზის დემოკრატია მედგრათ ამოუდგა გვერდში მაშინდელ მთავრობას და მასთან ერთად გადაარჩინა ქვეყანა უდიდესი უბედურებისაგან. გაათრებული დაქროლავდენ მრისხანე ქშენით ჩვენი რკინის გზის მატარებლები, ღამის სიბნელეში ისროდენ ცეცხლის ენებს და ერთგულად ეზიდებოდენ ჩვენი ქვეყნიდან გარეთ აქ შეჯგუფებულ ჩვენს მტრებს, თავისუფლების მუქარას. ბრძოლის ცეცხლში ტრიალებდენ ჩვენი რკინის გზის მუშაკნი და ქვეყანა კი გასწმინდეს მოზღვავებული მტრებისაგან.

თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ, ვამაყობთ ჩვენც, რომ რკინის გზის დემოკრატიული წრისაგან არ წარმოშობილან ისეთი სულმოკლენი, რომელთათვისაც განსაცდელის დროს მოთმინებას ეღალატოს და მუხლთ ჩაკეცოდეთ. კიდევ მეტად შეგიძლიათ იამაყოთ იმით, რომ თქვენ წრეში არ აღმოჩენილან ისეთი მოღალატენი, რომელთაც ზურგში დანა დაეცათ ქვეყნისათვის მაშინ, როცა გარეშე მტრის ხმალი ქონდა გასწორებული ამ ქვეყნის მკერდს, როგორც ეს გვიყვეს ჩვენი ქვეყნის უკანონო შვილებმა ბათუმის კედლებთან ბრძოლის დროს. უთანასწორო ომში სისხლისაგან იცლებოდა მაშინ კიდევ სუსტი და მოუწყობელი ჩვენი დემოკრატია და ეს უმგვანო შვილნი ქვეყნისა ჯარში ეწეოდენ საწინააღმდეგო აგიტაციას და ზურგს უკან აწარმოებდენ აჯანყებას. ახალციხეში გაათრებულ მტერს იერიში იერიშზე მოქონდა ჩვენზე და სწორეთ ამ დროს დუშეთის აჯანყება უკანიდან წამოგვალეწეს თავი. და ყველა ამას იმით ასაბუთებდენ, რომ ბათუმისა და ახალციხის, გინდ ოზურგეთის მოგერება საქმეა ბურჟუაზიისა და არა დემოკრატიისა.

რკინის გზის დემოკრატია ყოველ ასეთს დროს მტკიცეთ იდგა თავის პოზიციაზე და პირნათლად ასრულებდა თავის მოქალაქობრივ მოვალეობას ქვეყნის და ისტორიის წინაშე. და თუ მუხანათებს და ორგულებს არ დაივიწყებს ისტორია და საქართველო და მათ მიუზღავს მათი ბნელი საქმეებისამებრ, არ დაივიწყებს ჩვენი რკინის გზის დემოკრატიაც და მარადისდღეოთ შემოსავს მის სახელს იგივე ისტორია, იგივე საქართველო.

მსოფლიო ომმა დაანგრია დიდი რუსეთი. რუსეთის დანგრევამ გარიყა, გაამარტოვა და უნუგეშო მდგომარეობაში ჩააყენა საქართველოც. პირდაღებული ჯურღმულის პირზე ბეწვზე ეკიდა მისი ბედი და ამ ყოფაში იგი შეუდგა თავისი საკუთარი ძალების მობილიზაციას, მხსნელებს ეძებდა ქვეყანა და პირველი მხსნელები გამოვიდენ რკინის გზის დეპოსახელოსნოებიდან. შეიარაღდენ მუშები და გაეშურენ იქით, სადაც ქვეყანას უფრო უჭირდა. და ეს მეომრები ელვის სისწრაფით გადაყავდა ბრძოლის ველზე ჩვენს რკინის გზას. გაინაწილეს შრომა ძმებმა. ერთნი ხმალაწვდილნი თავისი სისხლით ქვეყანას თავს ევლებოდენ, მეორენი გადაყვან-გადმოყვანით, საზრდოსა და საომარი მასალების გაზიდვით შველოდენ. იბრძოდენ ორთავენი ერთი დიდი მიზნისთვის—ქვეყნის დახსნისათვის და ორივემ ჩასწერეს ჩვენი ისტორიის ფურცლებზე დაუვიწყარი თავისი სახელი პირველი საკუთარი სისხლით, მეორე დიდი საქმიანობით. დიახ, ჩვენი რკინის გზა მუდამ ომში იყო, მუდამ ქვეყანას შველოდა.

დიდია, ამხანაგებო, თქვენი ღვაწლი პოლიტიკაში, მაგრამ არა ნაკლებია იგი ეკონომიაშიც. ანარქიამ ჩვენს ქვეყანასაც დაუპირა გაპარტახება, განადგურება, ტყავის გაძრობა და პირველი მისი კლანჭები რკინის გზას მოხვდა. თუ ჩვენ დღეს გვაქვს მოწყობილი რკინის გზა, გვაქვს მატარებლები, ვაგონები და ვაგონებში დასაჯდომი, დასაწოლი, ფარნები და სხვა ნაწილები—ეს სავსებით მიეწერება რკინის გზის დემოკრატიის მაღალ შეგნებას და თავდადებულ საქმიანობას. ესენი არა თუ თვითონ არ სძარცვიდენ რკინის გზას, არამედ სხვებსაც არ ანებებდენ მის გაძარცვას.

მაშინ მგზავრებიც ანარქისტულად იყვენ განწყობილნი და რკინის გზას უცქეროდენ თავისად და არა მთელი ხალხის, სახელმწიფოს საკუთრებათ და ამიტომ არავის არ სცნობდენ, უფასოდ დაბრძანდებოდენ, რითაც ხაზინის შემოსავალი მინიმუმამდის დავიდა. მაგრამ ეს დრო დიდხანს არ გაგრძელებულა. სახელმწიფოებრივ შეხედულებაზე მდგომი რკინის გზის დემოკრატია შეებრძოლა და მგზავრებიც დისციპლინას შეაჩვია და თუ ახლა ჩვენ ხელში გვაქვს წესიერი მიმოსვლა ჩვენს რკინის გზებზე და ხაზინაში შემოსავლმა იმატა, ესეც საქმეა ჩვენი რკინის გზათა მუშამოსამსახურეთა მაღალი შეგნებისა, მათი საქმიანობისა.

დასასრულ ს. დ. პარტიის სახელით გიწვდით ძმურ ხელს და გთხოვთ: გავიძღვეთ კვლავაც წინ, გვასწავლეთ ბრძოლა და მოთმინება გასაჭირში, შეუდრეკელათ წინ, წინ დემოკრატიის გზის გასაგანიერებლად, რომელიც ჩქარის ნაბიჯით სოციალიზმისკენ გვეწევთ. მიიღეთ კიდევ სალამი, მოლოცვა და დიდი გულითადი მადლობა, სახელოვანო ამხანაგებო!

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას და მის რკინის გზათა მუშა მოსამსახურეთა მეორე ყრილობას. (მქუხარე ტაში)

დამფუძნებელი კრების სოციალ დემოკრატიული ფრაქციის სახელით ყრილობას ესალმება ფრაქციის თავმჯდომარე რ. არსენიძე (მოგვყავს მისი სიტყვის შინაარსი). ამხანაგებო, სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით მოგესალმებით თქვენ, მეორე ყრილობას. მე ვიცი ერთი რამ: ჩვენ ვარსებობთ და ამ არსებობის საფუძველი ჩვენი დემოკრატიაა. მთავარი ძარღვი ჩვენი დემოკრატიისა არის მუშათა კლასი, მისი მთავარი ხერხემალი, მისი სიძლიერე რკინის გზის პროლეტარიატია. პირველი ბრძოლის დროს, როდესაც ძველი წყობილების დასამხობათ ვიბრძოდით, სათავეში რკინის გზელები იყვნენ, რევოლიუციის დროსაც პირველობა მათ ხელში იყო. დღესაც არ გაიავებულა ეს ბრძოლა და ჩვენ, ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, რკინის გზის მუშებს ვხედავთ. ჩვენი ფრაქციისათვის არ არის უფრო დიდი საძირკველი, უფრო კარგი საძირკველი, ვიდრე რკინის გზის დემოკრატია. შემდეგ ორატორი ეხება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას და ამბობს: დღეს ისევ განსაკუთრებული მდგომარეობაა. ეხლა იწყება მე 9 ტალღა ბრძოლისა. ეხლა ბრძოლა უფრო რთულია, ვინემ ის ოდესმე იყო..

ჩვენ გახლართული ვართ ისეთ ხლართებში, რომელიც თვალით არ დაინახება; აქ მოქმედებს უჩინარი ძალა ჩრდილოეთის რეაქციისა და მეორე აქ არის მოქმედება გაუმაძღარი ...პის იმპერიალისტებისა. აი დღეს ჩვენს ქვეყანას ორნაირი ბორკილი, ორნაირი ჯაჭვი მძლავრათ არტყია. ჩვენ ვიცით ბრძოლა აშკარა მტერთან, მაგრამ უჩინარ მტერთან ბრძოლა განსაკუთრებით ძნელია. შემდეგ ის აღნიშნავს დაწვრილებით იმას, თუ რამდენათ მიუღებელია ჩვენი დემოკრატიისათვის, მუშათა კლასისთვის ასეთი მდგომარეობა და ამბობს: ჩვენ ამ ორივე უჩინარ ძალას უნდა გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა და მე იმედი მაქვს, რომ რკინის გზის დემოკრატია, როცა ის თავის საქმეებს მოაწყობს, გამოძებნის საშუალებებს მუშების ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და ფრაქციას გაუადვილებს ბრძოლას ამ უჩინარ მტრებთან. მე იმედი მაქვს, რომ გადავლახავთ ამ ეკონომიურ წინაღმდეგობებს და ნიადაგს მოვამზადებთ ეკონომიური რევოლიუციისათვის, ჩვენი საბოლოო მიზნის, სოციალიზმის განსახორციელებლათ. მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ დიად გარდაქმნის პროცესში, რომელსაც ეხლა შეუდექით, საძირკველს ჩაუყრით ახალ ეკონომიურ ურთიერთობას, თქვენივე ხელით გამოსჭედავთ თქვენს მომავალს. (მხურვალე ტაში).

შემდეგ ყრილობას ესალმებიან ივ. ქავჰანიძე დამფუძნებელი კრების გზათა კომისიის სახელით, ბ ქიქინაძე გზათა დეპარტამენტის, ვ. ჯუღელი სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის, ალ. ბახტაძე საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრის, ალფ. ხელაძე თფილისის პროფ. კავშირთა საბჭოს და კანდელაკი გზათა სამმართველოს სახელით.

შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს ხაშურის რაიონის მუშა მოსამსახურეთაგან მოსულ მისასალმებელ დეპეშას.

ყრილობამ პრეზიდიუმს მიანდო საპასუხო მისასალმებელ დეპეშების გაგზავნა დამფუძნებელი კრების, ნოე ჟორდანიას, ნოე ხომერიკის, ადერბეიჯანის და სომხეთის რკინის გზის მუშების, პროფესიონალურ კავშირების ცენტრის და საერთაშორისო ინტერნაციონალის სახელზე.

არჩეულ იქნა სამანდატო კომისია 5 კაცისაგან შემდგარი: პიპინაშვილი, კიკვიძე, გაჩეჩილაძე, შენგელაია და ქიპაშვილი.

მომენტზე მოხსენება გააკეთა ალ. ლომთათიძემ. მოხსენებას შემდეგ მოვათავსებთ.

ამით გათავდა პირველი სხდომა.

## დააჩქარეთ ქართული ლატარიის ბილეთების შეძენა.

უკვე მოახლოვდა 2 ნოემბერი, ქართული ლატარიის გათამაშების დღე.

ყოველი შეგნებული ქართველის მოვალეობაა განსაკუთრებით დღევანდელ ქართულ სახელმწიფოებრივ აშენებლობის ჟამს, უეჭველათ შეიძინოს იგი.

ჟურნალ გაზეთების სააგენტო «იმერეთს» ხელახლა, მესამეჯერ, დაევალა გაზეთებთან ერთათ ამის გავრცელება.

მოიგონებს რა პატივცემულ მკითხველებს ამ საღვთო კულტურულ ეროვნულ მოვალეობის შესრულებას, სააგენტოს გამგე დაბეჯითებით მოუწოდებს ყველას შეიძინონ ქართული ლატარიის ბილეთები კანტორა «იმერეთში», ბულვართან და სადგურის გაზეთების კიოსკში, სადაც გვექნება ისინი ამ თვის დამლევამდე

პატ. სააგენტო «იმერეთის»,—გამგე ისიდორე კვიცარიძე

## ბრძანება

**შინაგან საქმეთა და სამხედრო უწყებათა მიმართ.**

22 ოქტომბერი, 1919 წ., № 200.

მთავრობის თავმჯდომარემ ამა წლის 10 ივლისის საყოველთაო განკარგულებით № 844 ით, მოუწერა ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს საჩქაროთ შემოწმონ მოსამსახურეთა სიები და თუ აღმოჩნდენ მათ დაწესებულებებში ისეთი პირნი, რომლებიც ვალდებულნი არიან მოიხადონ სამხედრო ბეგარა და ჯერ კი არ მოუხდიათ, ე. ი. ვინც სამხედრო ბეგარის მოხდას გაურბის, დაუყონებლივ იყვნენ გადაყენებული სამსახურიდან და მათ შესახებ ეცნობოს სათანადო უწყებას.

თანახმად ამა წლის 31 ივლისის კანონისა „სამხედრო ბეგარისა და შეიარაღებულ ძალთა შევსებისა“, (გამოცხადებული გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ № 213) სამხედრო სამსახურში უნდა იყვნენ გაწვეულნი: 1) ამხანათ რესპუბლიკის მოქალაქენი, გარდა რუსებისა, დაბადებულნი 1897 და 1898 წლებში და 15 ნოემბერს კი რესპუბლიკის ყველა მოქალაქენი, დაბადებულნი 1899 წელში; 2) საშუალო სკოლის მოწაფენი, რომლებსაც უკვე შეუსრულდათ 21 წელი და სამხედრო ბეგარა ჯერ არ მოუხდიათ და 3) ის პირნი, რომლებსაც ავადმყოფობის და ფიზიკურ უმწიფარობის გამო ქონდათ მიცემული ვადის გადადება და გადადებული ვადა უკვე გაუთავდათ.

რადგანაც მიუხედავათ ზემო აღნიშნული განკარგულებისა და კანონისა ზოგიერთ სახელმწ[illegible] წესებულებებში დღესაც მსახურობენ ის პირნი, რომლებიც [illegible] მოიხადონ სამხედრო ბეგარა, [illegible] მოუწერ ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების უფროსებს ამ ბრძანების „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნების შემდეგ, სამი დღის განმავლობაში გადააყენონ ისინი სამსახურიდან და მათ შესახებ ეცნობოს სამხედრო აღრიცხვის უახლოეს ნაწილის და გენერალურ შტაბის სამობილიზაციო ნაწილის უფროსებს სიების თანხლებით.

იმ სახელმწიფო საზოგადო დაწესებულებების უფროსები, სადაც დანიშნულ ვადის შემდეგ აღმოჩნდებიან ბეგარის მოუხდელნი პირნი, იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი თანახმათ ამა წლის 2 აგვისტოს დეკრეტისა, როგორც დეზერტირების დამფარველნი.

შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი.

სამობილიზაციო ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი ქილაშვილი.

სამობილიზაციო ნაწილის უფროსის თანაშემწე მაიორი ახათიანი.

## ოსეთში

20 სექტემბერს ს. ჯავაში შესდგა მერვე ეროვნული ყრილობა სამხრეთ ოსეთისა.

პირველათ ყრილობამ მოისმინა მთავრობასთან გაგზავნილი დელეგაციის მოხსენება ოსეთში ცალკე ოლქის შესახებ.

მომხსენებლის აზრით მთავრობა პრინციპიალურათ არ არის წინააღმდეგი ოსეთში ცალკე სამაზრო ერობის შემოღებისა, შერეული კომისიაც კია არჩეული მთავრობის უწყებათა და ოსების ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებისაგან ამ კითხვის საბოლოოთ გადასაწყვეტათ და შესაფერი კანონ პროექტის შესადგენათ ყრილობამ ერთხმათ სთხოვა მეხუთე საბჭოს, რომ მათ განაგრძონ მუშაობა დაბეჯითებით ოლქის გამოყოფის შესახებ, ყველა ძალა იხმაროს, რადგანაც ჟამისოთ ოსები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიანო.

ყრილობამ მოისმინა გარეკილ ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმის ერთი წევრის, მოხსენება, რომელმაც სხვათა შორისა სთქვა, რომ ის საბჭო ადრევე უნდა ყოფილიყო გარეკილი, რადგანაც მასში უმრავლესობას შეადგენდენ კონტრ რევოლიუციონერების, მთავრობას რომ არ გაერეკნა, თვით ხალხი გარეკავდა მათ. ყრილობამ დაადგინა, რომ მეხუთე საბჭოს დაევალოს დაბეჯითებით მოითხოვოს ყველა ანგარიშები თუ მათ (გარეკილი საბჭო) წინააღმდეგობას გაუწევს, სასტიკი ზომები იქნას მიღებული მათ წინააღმდეგ.

ყრილობამ მოისმინა მოხსენება მეხუთე საბჭოსი. საბჭოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ყრილობამ მოიწონა.

ყრილობამ განიხილა საკითხი ცხინვალიდან როკამდის საურმე გზის გაყვანის შესახებ. არჩეულ იქნა ახალი კომიტეტი რომელსაც ყრილობა ავალებს შეძლების დაგვარათ შეუდგნენ საქმეს, ვინაიდან ხალხი განსაცდელში არის უგზობით. ყრილობა ავალებს საბჭოს, მიიღოს ყველანაირი ზომები და შეიძინოს თანხა. არჩეულ იქნა კომისია, რომელიც რევიზიას მოახდენს გზის ქონებისას,

ყრილობამ იქონია მსჯელობა სურსათის შესახებ. გამოირკვა, რომ მოსავალი ნაკლები მოვიდა და თუ დროზე ზომები არ იქნა მიღებული, ოსები დიდ განსაცდელში ჩავარდებიან და შიმშილი მოელით. ბევრს ოჯახს ორი თვის სამყოფი მოსავალიც კი არ მოუვიდა.

ყრილობამ დაადგინა დაევალოს მ. ხეთაგუროვს იშუამდგომლოს მთავრობის და ჩრდილოეთ ოსეთის მმართველთა წინაშე სურსათის შეძენის შესახებ. ყრილობაზე გამოირკვა, რომ სწავლა განათლების საქმე მეტად ცუდ მდგომარეობაში არის ოსებში.

ძველი საბჭო, რომელსაც უფრო პოლიტიკა აინტერესებდა ვიდრე კულტურული მუშაობა, არ აქცევდა ყურადღებას სკოლების საქმეს, ამიტომ არც მეცადინეობა სწარმოებდა სისტემატიურათ. ყრილობამ მოისმინა გორის სამაზრო ერობის გამგეობის მიერ დანიშნული ოსების სკოლების ინსტრუქტორ ა. ძასოხოვის განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ ის უკვე შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას, სკოლები დაათვალიერა, შენობები შეკეთებულა და ბევრგან მეცადინეობაც დაიწყეს. მხოლოდ მასწავლებლებს არა აქვთ სახელმძღვანელო წიგნები და რვეულები და ეს გარემოება ძლიერ ხელს უშლის სწავლას. ყრილობამ მოისმინა მოხსენება აგრეთვე ოსების გიმნაზიის შესახებ (ცხინვალში) გიმნაზია გაიხსნა გასულ წელს კერძო ინიციატივით. რადგანაც ის არ დაექვემდებარა ძველ ეროვნულ საბჭოს უკანასკნელი მას ხელს არ უწყობდა. იყო აღნიშნული გიმნა-

ზიის მნიშვნელობა ოსებში, რომ თუ ის გიმნაზია არ იარსებებს, შეუძლებელი იქნება ოსებმა გაგზავნონ თავიანთი შვილები სასწავლებლათ სხვაგან, რადგანაც ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის სიძვირის გამო. საჭიროა ამ გიმნაზიას ყოველ მხრივ დახმარება აღმოეჩინოს მისი დიადი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია.

ჯავაში გაქეთდა სახალხო სახლი მთა ოსეთის რაიონის კომისრის ზ. გასიევის და მისი მილიციის მოღვაწეობით. სახალხო სახლს უწოდებენ „რუხს", ესე იგი „განათლება"-ს. გაიმართა წარმოდგენები. მოიწვიეს სამხედრო მუსიკა გიმნაზიისა. ხალხის სიხარული აუწერელი იყო, ბევრი სიხარულით სტიროდა. მოხუცნი მათ გზას ულოცავდენ, სახალხო სახლის შენობაში ხალხი აღარ ეტეოდა, გაჭედილი იყო სულ და ბევრი გარეთ რჩებოდა. ხალხში დიდი ნდობა დაიმსახურა ზ. გასიევმა, მის უნარს მიეწერება, რომ ბევრი სასარგებლო დაწესებულება დაარსდა ოსეთში.

მეშვიდე საკითხი იყო გადასახლების შესახებ. ყრილობამ დაავალა საბჭოს, იქონიოს მხედველობაში ის მდგომარეობა, რომ მთა ოსები ძალიან ვიწროთ არიან მამულით და თუ სადმე არის მამულები, სადაც შეიძლება დასახლება, საბჭომ იშუამდგომლოს გადასახლების შესახებ.

დღის წესრიგის გათავებისას ყრილობა შეუდგა ახალ საბჭოს და მის პრეზიდიუმის არჩევას. დროებითი საბჭო გადადგა, თანახმად წარსულ ყრილობის დადგენილებისა, მაგრამ მაინც მას სთხოვეს დარჩენა, რადგანაც შესანიშნავად შეასრულა თავისი მოვალეობა,—მიუხედავათ იმისა, რომ გარეკილი საბჭოს წევრები მას სახელს უტეხავდენ და ქარცივაძის (გორის კომ.) საბჭოს ეძახდენ.

ამნაირად, დარჩა ისევ ძველი საბჭო. პრეზიდიუმში შედიან: თავმჯდომარედ ზ. ვანეევი (ს.-დ.), მის ამხანაგებათ: გ. გაგლოევი (ს. დ.), თიბილოვი ა. (ს.-რ.), ა. ზორაევი (კომ.). მდივნებათ: მ. ხეთაგუროვი (ს. დ.) და ბ. კოჩიევი.

მ. მარგიევი.

## სასოფლო მეურნეობის გარშემო.

ყანების და ბოსტნების მტერი.

(ბ. მეურნე პლ. კვიჟიძის წერილის გამო).

გაზ. „ერთობის" 220 № ში წავიკითხე წერილი ამ სათაურით: „ყანების და ბოსტნების მტერი მახარა" და მის წინააღმდეგ საშვალება. მართლაც, ზოგიერთ რაიონებში არის ბლომათ „მახარა" ან მეგრულად „მახა". ყოველი გლეხი იცნობს მას და იციან აგრეთვე, ის „მახა" ყანის დამღუპველია, მაგრამ რა ქნას ჩვენმა გლეხმა, რომ მან არ იცის მის წინააღმდეგ რა საშვალებას მიმართოს. ბ ნ კვიჟიძე გვირჩევს ამ მატლის წინააღმდეგ შემდეგ საშუალებას: „მიწები" უნდა მოიწამლოს უნდა ავიღოთ 1 გრ. თაგვის შაქარი 1 ფუთ სიმინდის ღერღილზე და ერთად მოვხარშოთ თავდაცულ ქურქელში, შემდეგ გავაციოთ და დავფხვნათ და ის მოვაყაროთ დახნულ მიწას თესვის დროს და თუ ამან არ იმოქმედა მეორეჯერ განვიმეოროთ."

ეხლა ვიკითხოთ, ასეთი საქმე ადვილია, როგორც ამას ბრძანებს ბ. კვიჟიძე? რაც გინდა მას საერთო ხასიათი მიეცეს მაინც ასეთი საშვალება განუხორციელებელი იქნება, ერთი და ორ ქცევაზე არ ითესება სიმინდი, არც თაგვის წამალი იშოვნება იმდენი და სხვა.

ყოველ შემთხვევაში არის საშვალება, რომელიც უფრო იაფი, ადვილი და ყველა გლეხისათვის დამოუკიდებლად მოსახერხებელია, უკეთესია ამას, თუ საერთო ხასიათი მიეცემა. აქ მე ამ საგაზეთო წერილში არ შემიძლია მოვათავსო ყველა ის, რაც საჭიროა ჭირნახულის მოყვანისათვის, პირდაპირ მივუთითებ მხოლოდ, როგორ უნდა წამლობა: „სანამდის შეუდგებოდეთ თესვას, ასე მოამზადეთ: ჩაასხით ბოჩკაში თუ ქვევრში წყალი, ჩაყარეთ შიგ 2—4 მუჭა დაფქული საჭმელი მარილი და კარგათ ბურიეთ. შემდეგ ჩაყარეთ შიგ ნელნელა სათესლე სიმინდი და ათვალიერეთ: რომელი თესლიც წყალმა ზედ მოიტივტივოს, იცოდეთ, არ ვარგა *) და ამიტომ ამოიღეთ და გადაყარეთ—დანარჩენ თესლს წყლის გადაწურვის შემდეგ ჩაასხით იმავე ბოჩკაში შემდეგი: აიღეთ ყოველ ექვს ფუთ წყალზე ერთი გირვანქა შაბიამანი (мѣдн. купарос) დაასხით იმ თესლს იმდენი, რომ სრულიად დაფაროს და დასტოვეთ ასე 12—16 საათ., ე. ი., ერთ დღე და ღამეს. აი ეს წამალი არის საჭირო, რომ მან სრულიად მოსპოს და მოკლას თუ რამე ჭია ან სენია თესლში და მოსავალს ვერაფერს დააკლებს. (მაგრამ მიწაში, ნახნავში არის „მახა" რომელიც სჭრის სიმინდს); ამიტომ შემდეგ გადასწურეთ ეს წამალი, თესლი გაფინეთ რამეზე თხლად, რომ იგი რამოდენიმედ შეშრეს გარედამ (რასაკვირველია ჩრდილში) მერე ჩაყარეთ თაბახში ქურქლის ნახევრამდის; დააყარეთ ზედ ნაცარი და დაფქული კირი და კარგად აურიეთ. ეს საჭიროა, სწორედ, იმისთვის რომ მიწაში მყოფმა ჭია-მახამწერებმა არაფერი ავნონ თესლს. ასე მომზადებული და კირ ნაცარში არეული თესლი უნდა დაითესოს, რის შემდეგ თქვენ უზრუნველყოფილ იქნებით ყოველივე ჭირნახულის მავნებლებისაგან და მოსავალს კარგს მიიღებთ *).

სტუდ. აგრონომი პლატონ დანელია.

*) თესლი უნდა იყოს ჯან საღი და შერჩეული მით უმეტეს ეხლა, როდესაც ცუდი მოსავალია. პ. დ.

*) ეს წამალი ვიხმარე მე და მიზანს მივაღწიე ე. ი. ერთი მჭამელი იქ არ მინახავს, სადაც წინეთ ბევრი იყო. ავტ.

## პარტიული მუშაობა სოფლად

ყველასათვის ცხადია, რომ პარტიული მუშაობა სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციების მთავარი საკითხია და იგი ამაში ხედავს თავის სიძლიერეს. თუ ოდესმე სოც.-დემ. პარტიას და მის ორგანოებს მუშაობა სჭიროდათ, მით უფრო საჭიროა ეს დღეს. მთავარი ყურადღება პარტიული მუშაობის მხრივ—სოფელს უნდა მიექცეს. პროვინციებში პარტიული მუშაობა საგრძნობათ მინელებულია, მაგრამ ამის გამომწვევ მიზეზების ჩამოთვლას ჩვენ აქ არ შეუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ იმ დროს როდესაც საჭიროა მთლიანი ფრონტი და შეთანხმებული მოქმედება, როდესაც ბოლშევიკ-კომუნისტების აგიტაციას და ანარქიულ ჯგუფების მოქმედებას საზღვარი აღარ უჩანს, აი ამ დროს განსაკუთრებით სოფლად პარტიული მუშაობა გაირკეცებასა და გაცხოველებას მოითხოვს.

უნდა ითქვას, რომ პროვინცია მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას აწარმოვოს ფართე პარტიული მუშაობა. მათ არ ყავთ საკმაო რიცხვი მომზადებული პირებისა, რომლებიც შესძლებენ ყველა იმ კითხვების სწორეთ გაშუქებას, რომელნიც ჩვენი ცხოვრების მიერ არის ნაკარნახევი.

სოფლებში ნაკლებათ ან სულ არ აკეთებენ მოხსენებას მომენტის შესახებ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დამფუძნებელ კრების წევრების წლევანდელ ზაფხულს სოფლად მუშაობას—რაც გამოიხატებოდა მოხსენების გაკეთებაში ნაკლებათ კითხულობენ ლექციებს, იშვიათად იმართება მიტინგები, კრებები და არ არის სასურველ ნიადაგზე მოწყობილი საჭირო სამაცადინო წრეები.

ეს გარემოება კი დემოკრატიულ თავისუფლებას და მის ეკონომიურ და პოლიტიკურ აღორძინებას მკვიდრ საფუძველს ვერ ჩაუყრის.

პარტიულ მუშაობის აღდგენის და გაძლიერების სურვილი სოფლათ (გურიაში) დღეს ერთობ დიდია და ამ ბოლო ხანებში მას გამოფხიზლებაც დაეტყო. ჩვენს პარტიის წევრებს სოფლად ძლიერ აინტერესებთ: გარკვევა მიმდინარე მომენტისა, დამფუძნებელ კრების მუშაობა, ერობის საკითხი მიწისა და ერთდროულ გადასახადების შესახებ საკითხები და სხვა.

ამას წინათ მე მქონდა შემთხვევა მოკლე ხნით მემაცადინა გურიის ერთერთ სოფლის პარტიულ ორგანიზაციაში. პარტიის წევრები დიდათ დაინტერესებული იყვენ მომენტის საკითხში და სხვათა შორის მე მთხოვეს გამეცნო მათთვის ის, თუ რა პირობებში მოუხდა ჩვენს მთავრობას ოსმალეთთან ზავის შეკვრა, და აგრეთვე გამერკვია მათთვის ერთდროულ გადასახადის საჭიროება და მისი აუცილებლობა და როდესაც მათი თხოვნა დავაკმაყოფილე მათ მწუხარება გამოსთქვეს, რომ მათ ამდენ ხანს ვერ მოუხდათ მოსმენა ამ საკითხზე მოხსენებისა. ასეთია პარტიული მდშაობის საქმიანობა თვით გურიაში და მე დარწმუნებული ვარ, რომ დასავლეთ საქართველოს მივარდნილ სოფლებში, სადაც ინტელიგენცია და მომზადებულ მოწინავე ამხანაგების ნაკლებობაა, პარტიული და კულტურული მუშაობა—კიდევ უფრო მინელებული იქნება. ამიტომ ამ არა ნორმალურ მოვლენას ეხლავე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

შეგნებული და გათვითცნობიერებული მუშათა კლასი ამით შესძლებს ფართე მასაში შემეცნების შეტანას და ყოველივე ანარქიულ მოძრაობის დასუსტებას. ამიტომ დიდად საჭიროა პარტიული მუშაობის გაძლიერება. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ევალება ამ საქმის ხელმძღვანელობა სასწრაფოდ გაგზავნის სოფლებში სათანადოთ მომზადებულ ამხანაგებს,—და ლექტორებს, რომლებიც ადგილობრივ პარტიულ მომუშავე ამხანაგებთან ერთად შეუდგებიან პარტიულ და კულტურულ მუშაობას, როგორც თავის წრეში ისე ფართე დემოკრატიაში. კარგი იქნებოდა აგრეთვე და დიდ დახმარებას აღმოუჩენდენ ჩვენს ორგანიზაციებს, თუ ის მოწინავე ამხანაგები, რომლებიც ქალაქებში იმყოფებიან, დრო გამოშვებით ეწვეოდენ ჩვენს სოფლის პარტ. ორგანიზაციებს და თავის ენერგიასა და ცოდნას პარტიულ მუშაობის გაძლიერებას მოახმარდენ სოფელი მუშაკებს ითხოვს.

თედ. ხუხუნაიშვილი.

## ს.-დ. პარტიაში

დუშეთი. 28 სექტემბერს მოწვეული იყო მაზრის ს. დ. კომიტეტის მორიგი კრება, რომელსაც დაესწრენ ყველა წევრები კომიტეტისა, მაზრაში მომუშავე პროპაგანდისტები და ერობის და სახალხო გვარდიის შტაბის წარმომადგენლები. დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან. ამხანაგებმა მრავალი სამწუხარო მოვლენა აღნიშნეს და ერთხმად მოითხოვდენ სასწრაფო და გადამჭრელ ზომების მიღებას ანარქიის თავიდან ასაცილებლათ. მართლაც და მდგომარეობა სერიოზულია: ყაჩაღების თავისუფალი თარეში, ადმინისტრაციის სისუსტე, აგრარული კომისიების უმოქმედობა, ბოლშევიკ პროვოკატორების ბნელი აგიტაცია—ყველაფერი ეს მაჯლაჯუნასავით დასწოლია მაზრას და მოსვენებას არ აძლევს. თითქმის ყოველ დღე მოდის ცნობები ყაჩაღების თავაშვებულ მოქმედების შესახებ. იქ მგზავრს დაეცემიან და გასცარცვავენ, აქ მთელ დაბას „კონტრიბუციას" დაადებენ; ზოგჯერ სოფელს დაესხმიან თავს და ყველა შიგ მაცხოვრებლებს დასცარცვავენ, ხან კი დევ ფოსტის კანტორას გაანადგურებენ. და ამას სჩადის არა ხუთი—ექვსი ყაჩაღი, არა ერთი რომელიმე ჯგუფი—არამედ ოცი—ორმოცი კაცისაგან შემდგარი „ბანდები".

ერობის გამგეობა შეებრძოლა ყაჩაღობას, გამგეობის ერთი წევრი განსაკუთრებული უფლებებითაც კი აღჭურვა, მაგრამ აბა რა უნდა გაეწყო სუსტი მილიციის და უმოქმედო კომისარების საშუალებით.

გამგეობის წევრი ამხ. გ. ფარნიევი, იძულებული შეიქნა თითონ ეკისრა საგანგებო რაზმის ხელმძღვანელობა და მთელი კვირაობით ყაჩაღებს დევნიდა ტყეში, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს. მართალია, რაზმის მოქმედებამ ყაჩაღობა შეასუსტა, მაგრამ მოკლე ხნის განძავლობაში მთელი ამ „ბანდების" განადგურება მის ძალ ღონეს აღემატებოდა, და დღეს ისევ ისე სავალალო მდგომარეობაში ვიმყოფებით. ამას ზედ ერთვის მიწის საკითხის მოუწესრიგებლობა. არ ვიცი, როგორაა საქმე სხვა მაზრებში—დუშეთის მაზრაში კი აგრარული რეფორმის გატარება კუს ნაბიჯით მიდის. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ აგრარული რეფორმის გამტარებელი ადგილობრივი ორგანოები უმოქმედობას იჩენენ და აგრარული კომისიები ხშირათ მთელი კვირაობით არაფერს აკეთებენ. ხალხი კომისიების მუშაობით უკმაყოფილონი არიან და თავ-პირს ამტვრევენ ერთმანეთს მიწების გამო. ასეთი არევ-დარევით ვინ ისარგებლებდა, თუ არა ბოლშევიკები?

ცნობილია, რომ საქართველოს ყველა ბნელი კუთხე ბოლშევიკების აგიტაციისთვის პოხიერი ნიადაგია და დუშეთის მაზრას წელსაც ისე, როგორც შარშან უყურადღებოთ როგორ დასტოვებდენ. აქ მათ აამოძრავეს ძველი „სტრაჟნიკები" და გაბოროტებული აზნაურები; გაავრცელეს საზიზღარი ცილისწამებით სავსე ფურცლები და ასეთი საშუალებებით სცდილობენ დუშეთის მაზრას თავისი „სოციალისტური" იდეები მოჰფინონ.

აი ასეთი სურათი გადაიშალა ადგილებიდან მოხსენებების შემდეგ. კომიტეტმა სამი სხდომა მოანდომა ამ საჭირ-ბოროტო კითხვების გაშუქებას და სცნო: 1) მოსალოდნელ ანარქიის თავიდან ასაცილებლათ, ერობის გამგეობამ მთელი თავისი ენერგია მოახმაროს ადმინისტრაციის და აგრარული კითხვის მოწესრიგებას; მიიღოს რეპრესიული ზომები ბოლშევიკური აგიტაციის და ყოველგვარი პროვოკაციის წინააღმდეგ. 2) პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააცხოველონ მუშაობა და საჯარო მიტინგების მოწყობით გაფანტონ ის მძიმე ატმოსფერა, რომელიც შექმნეს ჩვენი ქვეყნის მტრებმა მალული აგიტაციით.

ნაიბი.

## მუშათა შორის

ბორჯომი. ერთი კუთხეთაგანი არის საქართველოს რესპუბლიკაში, სადაც ნორმალურად მიდის მუშაობა საწარმოვო დარგების და მასთან რამოდენიმე ასეული მუშა-მოსამსახურე უზრუნველყოფილი არიან. რასაკვირველია ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან ყოველ მხრივ შედარებითაც პირველობა უკავია, მაგრამ ბოლშევიკები (ანუ შავრაზმელები) რის ბოლშევიკები არიან თუ თავიანთი უტაქტიკო და უგნური „მუშაობა" აქაც არ შეიტანონ და ამით ნორმალური მუშაობა რესპუბლიკის არა ნორმალურად აქციონ, მეორე მხრივ რამოდენიმე მუშა მოსამსახურე ულუკმო პუროდ დასტოვონ. აი მათი მიზანი და მისწრაფება, მერმედ კი შედეგი სამოქალაქო ომია.

სწორედ ამაში გამოიხატება მათი უტაქტიკო მუშაობა, რომ ამ ბოლო ხანებში მოუხშირეს ბოლშევიკურს რუსულ ქართულ პროკლამაციების გავრცელება ბორჯომის მამულების საწარმოვო დარგების მუშა მოსამსახურეთა შორის. ამხანაგებო მუშებო! სწორედ ასეთი მუშაობის ნაყოფი არის უდიდესი რუსეთის დემოკრატიის სამოქალაქო ომში გახვევა და უმანკო სისხლის დაქცევა. იქ რუსეთში დამარცხებულთ, აქ საქართველოში უნდათ ანაზღაურება და სამოქალაქო ომში ჩათრევა. არ უსმინოთ მაგ ავანტიურისტებს, ბრძოლა მათთან, რადგანაც მათ რეაქცია მოაქვთ.

ვ. მატრონეშვილი.

## პროვინცია

ქართლი. 12 ოქტომბერს მოხდა ხუთი სოფლის ს. ახალდაბის, ს. გადმა ახალდაბა, ს. ნებვის, ს. ჭაჭარაქის და ს. სავანის ხეველების, მცხოვრებლების შეერთებული კრება. კრებამ თავმჯდომარეთ ერთხმათ ამოირჩია დ. ქველაძე. კრებაზე განსახილველი: 1) საერო სასანიტარო გადასახადი, 2) თ თო თუმნის აკრეფა სესხის სახით, ერობის ფონდის გასაძლიერებლათ, 3) სახაზინო ნადელებზე ერთდროული გადასახადი, 4) ბოლშევიკების მიერ ფურცლების მობნევა გზებში და სოფლებში. ყველა ამ კითხვებზე მოხსენებას აკეთებს ბორჯომის ერობის გამგეობის თავმჯდომარე კ. შანშიაშვილი. მომხსენებელმა კრებას განუმარტა, რომ გადასახადი ორნაირია: პირველი გადასახადი, რომელსაც იხდიდით ნიკოლოზის მთავრობის დროს არ იცოდით როგორ იფლანგებოდა, ერთი ცხადი იყო ამრავლებდნენ ჟანდარმებს და ჯაშუშებს, რომ ხალხი კარგათ დაემონებინათ. მეორენაირი გადასახადი, რომელიც ახალი მთავრობამ და ერობამ შემოიღო ეს კი ხმარდება თქვენ კეთილდღეობას, აი მაგალითად ბორჯომში დიდი მთავრის დროს სამი შკოლა იყო ერთი ახალ დაბაში მეორე ს. წაღვერში და მესამე ს. ბაკურიანში, დღეს კი ჯერ კიდევ ახალი მთავრობა და ერობა ფეხზე არ დამდგარან და მარტო ბორჯომის რაიონში ხუთი ახალი შკოლა გახსნა, და უფასო ერთი საავადმყოფო და ერთი ფერშლის პუნქტი ბაკურიანში. აი ასეთი გადა ახადები, რასაც თქვენ აშკარათ ხედავთ, რომ თქვენ გხმარდებათ სიხარულით უნდა ეგებებოდეთ. რაც შეეხება ბოლშევიკების ფურცლების მობნევას გზებში, რომ ოქროს მთებს გპირდებიან, ჯერ ოქროს მთები მისცენ ვისაც დაჰპირდენ, რუსეთის დემოკრატიას და მერე დანარჩენი ჩვენ გაგვინაწილონ, ეს ცალიერი დაპირება იყო, რომ რუსეთის დემოკრატიას სისხლში აღრჩობენ, ისევე ჩაახრჩობენ საქართველოს დემოკრატიას სისხლში, აჰყევით იმათ სიტყვასო. ხალხმა შეკითხვების დაკმაყოფილების შემდეგ თანხმობა განაცხადა ყველა გადასახადებზე, მხოლოთ მომხსენებელს კრებამ დაავალა ერთ დროულ გადასახადების შესახებ, რომ ჩვენში არ არის იმდენი ნადელი, რამდენიც გადასახადი ფურცლებშია აღნიშნული და ამისათვის გთხოვთ იშუამდგომლოთ სადაც ჯერ არს, რომ შეასწორონ ეს ზომაო.

ვ. ლომიძე.

მუხიანი. 12 ოქტომბერს, სოფ. მუხიანის საზოგადოების სასამართლოში მოხდა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო საზოგადოების უმრავლესი ნაწილი. კრება გაიხსნა ნაშუადღევის ორ საათზე. კრების თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ვ ქუთათელაძე და მდივნათ დ. ფუთურიძე. მოხსენება გააკეთა დამფუძნებელ კრების წევრმა პ წულაიამ და გააცნო ხალხს დღევანდელი მომენტი. კრებაზე იყო შეკითხვა გვარდიის დაარსებაზე, რაზედაც მომხსენებელი დაჰპირდა დახმარების აღმოჩენას. კრების დაშლის შემდეგ იქმნა რეზოლიუცია გამოტანილი, რომ მთავრობის და დამფუძნებელ კრების მიერ გადაწყვეტილი კანონები შევასრულოთ მტკიცეთ.

კრების თავმჯდომარე: ქ. ქუთათელაძე.

მდივანი: დ. ფუთურიძე.

## წერ. რედაქციის მიმართ

ბ ნო რედაქტორო! სიმართლის აღსადგენათ გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი: 15 ოქტომბერს ქობულეთ ნატანებს შუა მატარებელზე თავდასხმის დროს დახოცილნი სალუქვაძე და აბულაძე ანი თავდამსხმელთა რიცხვში არ ყოფილან. ისინი მოჰყავდათ ბათუმიდან დატუსაღებული, მათ ბრალდებოდათ სხვადასხვა დანაშაულობა: როგორც ძველები ამბობენ ამათ უნდოდათ ესარგებლათ არევ დარევით და გაქცეულიყვნენ. გაზეთებში არის ნათქვამი ვითომც მოეკლათ ორი თავდამსხმელთაგანი, რაც არ შეეფერება სიმართლეს.

პატივისცემით ყ. ნინიძე.

## ანგარიში

ბორჯომის რაიონის ს. დ. მ. პ. კოლექტივის შემოსავალ გასავლისა 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდის 1919 წელს,

შემოსავალი: კასაში 1 აპრილისათვის იყო 830 მ. 80 კ. შემოვიდა საწევრო გადასახადები: ბაკურიანის იაჩეიკიდან 191 მ. 50 კ, ჩამწყობ განყ. 58 მან., ახალდაბა ჭაჭარაქის 166 მან., ზანავის 21 მ, ტყის მცველებიდან 384 მ., შუშის ქარხნის 804 მ. 50 კ, დეპოს 381 მ. 50 კ., წაღვერის 69 მ., რემონტი და მოძრაობა 306 მან., წვრილ-წვრილად პარტიის წევრთაგან 187 მ., მეავე წყლის ქარხნიდან 51 მან, 1 მაისს გამართულ დღესასწაულიდან შემოვიდა ნაწილი 500 მ., ნასესხები 250 მ., ლექციიდან შემოვიდა 1000 მ., სახერხი ქარხნიდან 50 მ. სულ 5250 მ. 30 კ

გასავალი: დეპეშები და მარკები 66 მ. 20 კ., გორის მაზრის ს.-დ. კომიტეტს საწევრო 900 მ., საქმის მწარმოებელს 1650 მ., დახმარებანი სხვადასხვა პირთ 200 მ., განცხად. და აფიშების დაბეჭდვა 159 მ. 20 კ., პროპაგანდისტს (დამატებით) 250 მ., წვრილი ხარჯები 1 მაისის დღესასწ. გამართვაზე 98 მ. 50 კ. ბინის ქირა (მდივნისათვის) 600 მ., საწევრო წიგნაკები 200 მ., ვალის დასაფარავად 250 მ., საკანცელარიო ხარჯები 15 მან. 30 კაპ., საგზაო ხარჯები 28 მ. 80 კ. სულ ხარჯები 4,418 მან. კასაში 1 ოქტომბრისათვის 832 მ. 30 კ. სულ 5250 მ. 30 კ.

ხაზინადარი გ. ლლონტი.


## განცხადებანი

ექიმი ივ. ბოკერია

იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95.

(თ. 2744)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა გ. ს. მუხრანბატონი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სალგნიიდი და არსეველი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

კბილის ექიმი

მ. მ. მიხაური-მხაკიანი

იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მოსია.

ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42.

ექიმი ა. ლევენშტეინი

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჭაჭების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

დოქტორი რ. [illegible]

სპეციალურად ყურის, ყელის და [illegible] რის სნეულებიან ავათმყოფთა მი[illegible] დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. [illegible]

[illegible] (თ. 2608)

ექიმი ნ. დ. ტურაიშვილი

იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალთა სნეულებით სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5 საათ. მისამართი: მიქელთოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ექიმი ი. ჩიჯავაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიური მიკროსკოპიული ლაბორატორია

იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია Opermeyer-ის სპიროქეტები და სხვ. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, რწყილს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხის და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ყოფ. ... დან) ქუჩა. გამაანთ შესახვევი № 3. სალამ მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი ზისარიონ ჰაკობი

მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი დ. მ. ჯავახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პრ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელ. 14—60. (თ.—266)

დოქტორი ი. ი. გამზურზიძე.

სისხლის გამოკვლევა სიფილისზე (Wasserman-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიტზე, ... ზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახ. დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ. საღ. 5 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. ტელეფონი 16—82.

ექიმი გ. ა. შაშიაძე

სპეციალურად სიფილისი და მისი წამლობა (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ... ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძიძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი მ. ზოლდურიძე.

თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე საღ. 4—7-დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი რ. ნ. ზიმოდ-საბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბჭიო დარიგებას. სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—2.

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფ. საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ა. მ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვ. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი ა. დ. ძაძამია

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914". მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—... ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე" პირდაპირ № 116 ტელ. 14—28.

მე 2 საარტილერიო დივიზიონი ამით აცხადებს, რომ კვირას ამა ღვინობისთვის 26 დღესა 3 საათისთვის, აღნიშნულ დივიზიონის 1 ლ ბატარეიაში, რომელიც იმყოფება დაბა მუხროვანში დანიშნულია

# დაწუნებულ ცხენების გაყიდვა

საჯარო ვაჭრობით. 2768—1—1

# ქართულ ლატარიის გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ლატარიის გათამაშება შესდგება 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში. ბილეთი ღირს—25 მან., კუპონი—5 მან. პირველი მოგება 100,000 მან. მეორე მოგება 50,000 მან. გამგეობის კანტორა ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა (ყოფილი სასახლის ქ.) № 5, ტელეფონი 7—61.

(ნ. 8—5)

# ქართული ლატარიის გამგეობა

ამით აუწყებს თავის პროვინციის კომიტეტებს და ყველა აგენტებს, რომ ვინც ამა თვის 25 მდის არ წარმოადგენს გაუყიდველ ბილეთებს, შემდეგ კანტორა მათ ბილეთებს აღარ მიიღებს და კომიტეტებს თუ აგენტებს მოსთხოვენ წარმოუდგენელ ბილეთების ფასს. ლატარიის გათამაშება მოხდება 2 გიორგობისთვეს სახელმწიფო თეატრში.

(ნ. 4—...)


ეროვნული ბიბლიოთეკა